1927 წ. დეკემბერი.

№ 24.

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante.

Edition mensuelle.

1927—DECEMBRE № 24

საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანტიბოლშევიკურ ბანაკში.

სოვდეპიის უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით რუსების ანტიბოლშევიკურ ბანაკს, დასავლეთში, ერთგვარი გამოფხიზლება დაეტყო. მსჯელობენ, დაობენ პრესაში და კრებებზედ იმის თაობაზე, თუ რით დამთავრდება განახლებული სასტიკი ბრძოლა კომპარტიის მაღალ ფენებში და როგორი უნდა იყოს, ამის მიხედვით, თვითეულ მიმდინარეობის პოზიცია მოსალოდნელ გადატეხვის მიმართ.

ვამბობთ «მიმდინარეობის», რადგან რუსის ემიგრაციამ, ერთათ აღებულმა, კარგი ხანია დაკარგა თითქმის ყოველი ორგანიზაციული კავშირი ყოფილ რუსეთთან და, სიმართლე უნდა ითქვას, იგი არც აცხადებს პრეტენზიებს იქაურ ძალების არამც თუ ხელმძღვანელობაზე, არამედ უბრალო გავლენაზეც. მთელი კავშირი ჯერ ხნობით ამოიწურება მისი პრესის ამა თუ იმ გზით რჩეულ "მკითხველამდის მიღწევით, რასაც, მათ და უნებურათ, ხელს უწყობენ თვით ბოლშევიკების ბობოლები, მოწყურებულნი თავისუფალი სიტყვისა. მეორეს მხრით. სამასლაათო მასალას რუსის ემიგრაციისათვის შეადგენს, გარდა საბჭოთა პრესისა, კერძო თუ საგაზეთო წერილები, ან კიდევ იმავე სოვდეპიიდან ჩამოსულ სპეცების ნაამბობნი.

ამ რიგათ, როცა პოლიტიკურ მიმდინარეობებზე ვლაპარაკობთ, ეს არ ნიშნავს კიდევ, რომ ჩვენ პარტიებთან ან მათ საზღვარგარეთელ განყოფილებებთან გვაქვს საქმე, არამედ ყოფილ ლიდერებთან, რომელნიც ერთ დროს სათავეში უდგენ პოლიტიკურ პარტიებს და დღეს კი უცხოეთში განაგრძობენ ისინი და მათი ჯგუფები მუშაობას.

ვინაა ეს ლიდერები და ჯგუფები? დავიწყოთ მარჯვნიდან. მარკოვი მეორე, ტრეპოვი და ძმანი, ერთის მხრით, და სტრუვე, დღეს კი ნ. ნ. ლვოვი, ვ. შულგინი და ძმანი, მეორეს მხრით, რომელთაც შემოიკრიბეს კიდევ შარშან გაზაფხულს ყოფილი მსხვილი ბიუროკრატები, გენერლები, მღვდელმთავრები, ვაჭარ-მრეწველნი, ოქტიაბრისტები, და ყველამ ერთათ «დიდი მთავარი» ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე წინამძღოლად აღიარეს. არის მეორე შტოც მონარქისტებისა—კრუპენსკი და ძმანი, რომელნიც «იმპერატორ» კირილეს გარშემო იყრიან თავს. ამათ მიყვებიან ყოფილი კადეტები, დღეს რესპუბლიკანელ-დემოკრატები მილიუკოვის მეთაურობით. შემდეგ ეს-ერები: მარჯვენა ფრთა აქსენტიევის მეთაურობით, ცენტრი—კერენსკის, მარცხენა ფრთა [illegible] საზღვარგარეთელი დელეგაცია დან-აბრამოვიჩის მეთაურობით, მარჯვენა ფრთა—პოტრესოვის.

ჩვენ გამოვტოვეთ სხვა, შუა ან სულ განზე მდგომი, ჯგუფები. ანგარიშ გასაწევია ზევით დასახელებულნი, და მათში, როგორც ხშირათ ხდება, მხოლოდ უკიდურესი ფრთები, იქით-აქედან, ატარებენ გარკვეულ პოლიტიკურ ხაზს. მარჯვნივ მონარქისტები ძველი რეჟიმის აღსადგენათ არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, დაწყებული ინტერვენციით და გათავებული პუჩით. მარცხნივ მენშევიკები ბოლშევიკურ ძალმომრეობას რევოლიუციის გაგრძელებად თვლიან და ამიტომ თავს იჭერენ ყველა «მაგარ» ზომებისაგან, რათა ამით არ დავეხმაროთ ბონაპარტიზმის გამარჯვებასო.

როგორც მონარქისტები, ისე განსაკუთრებით მენშევიკები, თავის გარკვეულობით, თვალსაჩინო დაღს აჩენენ დანარჩენ მიმდინარეობათ. საინტერესოა ამ მხრივ მთელი მარცხენა წყების ანუ რესპუბლიკურ-დემოკრატიულ და სოციალისტურ ლიდერების მსჯელობა. რუსის ხალხი—ამბობენ ისინი—დაიქანცა განვლილი ქარტეხილით, ის თრთის სამოქალაქო ომის განახლების შიშით; მას ეჯავრება საბჭოთა რეჟიმი, მაგრამ უარესის მოლოდინში ისევ დღევანდელ, შედარებით მტკიცე, ხელისუფლებას ამჯობინებს. ესეც არ იყოს—განაგრძობენ ისინი—ხალხი უკვე იმართება წელში ეკონომიურათ, იჩეკება მის წიაღში ახალი ბურჟუაზია—იგულისხმეთ კულაკები და ნეპმანები—და იგი უკვე არ ეპუება ხელისუფლებას და საცაა კიდეც სძლევს მას; ოპოზიციის ახალი შეტევა—განმარტავენ ისინი—სწორეთ იმას ნიშნავს, რომ კომუნისტური დიქტატურა ამ საშიშროების წინ სდგას.

რა ტაქტიკას ექომაგებიან ისინი ამ პირობებში? აი, აქ იჩენს თავს მათი დაბნეულობა და გაურკვევლობა! რამდენათმე გარკვეული ენით ლაპარაკობენ ისევ დანი-აბრამოვიჩი. ღმერთმა გვაშოროს რეჟიმის ძალათ დამხობის განზრახვა!—აცხადებენ ისინი. შორს ჩვენგან რევოლიუციური გამოსვლები, აჯანყებანი და სხვა ამისთანეები; პროლეტარიატი მიაწვება, ისე რალა უხმაუროთ, დიქტატორებს და ისინიც იძულებული გახდებიან ძალა-უფლება ნ ე ბ ი თ დემოკრატიას გადასცენო. კერენსკი აშკარათ ამ მიმდინარეობის გავლენის ქვეშაა, თუმცა ძველ დოქტრინასაც «გმირი და ბრბო» თავს ვერ ართმევს. ყოველ შემთხვევაში, ამ თავათ ის კმაყოფილდება იმითაც, თუ წითელი მოსკოვი ალექსანდრე მესამის უფლებრივ მდგომარეობას აღადგენს; მაგრამ არც ეს სჯერა მას და ექომაგება მხოლოდ მასების «აღსაზრდელათ». მილიუკოვი პირდაპირ აცხადებს, რომ ჩვენ ვერ მივაწვდით რუსეთს ტაქტიკურ რეცეპტებს, და იქ სტალინიც კარგათ მუშაობს ჩვენი ბატონობისთვის მომავალში, და ამის ერთი საბუთი ისიცაა, რომ მან ტროცკისტებს კუდით ქვა ასროლინაო. დარჩა ერთი პოტრესოვი, რომელიც განმარტოებით «ღაღადებს უდაბნოსა შინა», რუსეთში უკვე არსებობს ბონაპარტიზმიც და შავი რეაქციაც და მათ მხოლოდ ახალი რევოლიუციით თუ მოვერევითო.

მაგრამ სწორეთ აქ იმართება სქოლასტიური დავა: ევოლიუცია თუ რევოლიუციაო, კვერცხი თუ ქათამიო! ეს კი ცხად ჰყოფს, რომ ამ ხალხს, დიდი ხნის ემიგრანტული ცხოვრების წყალობით, დაუკარგავს ყოველი პოლიტიკური ყნოსვა, არა თუ გაგება იმისა, რას განიცდიან ერები იქ ამ ისტორიულ ხანაში. თურმე ტყუილა ქადაგებდენ ეს-დეკები, დღიდან გაჩენისა, რომ არ ახსოვს ისტორიას მართველმა წრემ თავის ნებით დასთმოს ძალა-უფლება; ტყუილა აწერდენ ეს-ერები თავიანთ გამოცემათ «ბრძოლით მოიპოვებ შენ უფლებას!» რაც შეეხება კადეტებს, მათ ხომ მეტიც არ მოეთხოვებათ.

ამ რიგათ, დემოკრატები იქცევ ოქტიაბრისტებად, სოციალისტები—რეფორმისტებად; არც იქით, არც აქეთ, ერთ ადგილზედ ტკეპნა...

რა ამოძრავებთ მათ? გარდა დასახელებულ ანარქიის და ბონაპარტიზმის შიშისა, ერთი მოტივი, რომელიც ცენტრალურია, ჩვენის აზრით. ესაა შიში ს. ს. რ. კ. დაშლისა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. შიში რუს და არარუს ერთა ერთმანეთისგან გაყრისა. აი, ამაში ისინი, მემარჯვენეებიდან დაწყებული, ერთათ არიან, ასე ვთქვათ, ერთ ნაციონალურ ფრონტში, თუმცა წინასწარ მოულაპარაკებლათ.

ჩვენ არ უარვყოფთ, პირიქით დიდათ ვაფასებთ, რომ რუსის სოციალისტები ინტერნაციონალში თუ სხვაგან საქართველოს და სომხეთის დამოუკიდებლობას ექომაგებიან, მაგრამ აქ ლაპარაკია ყ ვ ე ლ ა არარუს ერებზე, რომელნიც კიდევ გუშინ დამოუკიდებელი იყვნენ და დღეს კი მოსკოვის ქუსლის ქვეშ გმინავენ. მარტო ხსენება, რომ აზერბეიჯანი, მთა, უკრაინა, თურქესტანი დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, რუსის დემოკრატებს და სოციალისტებს ცუდ გუნებაზედ აყენებს, და დრტვინავენ კიდეც—თქვენ «რუსეთის» დაშლა მოგიწადნებიათო. ვითომ საკუთარი რუსეთი, როგორც ტერიტორიით ისე ხალხით, უდიდეს და უმდიდრეს სახელმწიფოს არ წარმოადგენდეს! ვითომ მას ეცილებიან რამეში არარუსი ერები! ვითომ რომანოვების მიერ, საუკუნეთა განმავლობაში, მოხდენილნი დაპყრობანი და ანექსიები უფლებისა და სამართლიანობის უმაღლეს მიღწევებს შეიცავდენ!

ძნელია დავიწყება, როგორ გაფთრებით ებრძოდენ კიდევ გუშინ, შვარცბარდის პროცესის დროს, მილიუკოვის და კერენსკის გაზეთები უკრაინის დამოუკიდებლობას, როგორ ბრჩხილებში სვამდენ ისინი მის ეროვნულ მთავრობის წევრებს... ჩვენ ვერ დავინახეთ, მეორეს მხრით, ჩვეულებრივი ლოიალობა, როცა ეს გაზეთები უკომენტარიოთ უშვებდენ შემაძრწუნებელ ცნობებს, თითქოს ქართველი ხელმძღვანელი წრეები ან შორით, ან ახლო დაკავშირებული ყოფილიყვნენ ისეთ გასვრილ საქმესთან, როგორიცაა ყალბი ფულების მოჭრა. ვითომ მათ არ იცოდენ, რომ ჭზგავს მახინაციებს მიზანში ჩვენი სახელის გატეხვა აქვს ამოღებული და რომ ამაში გეპეუსაც უდევს წილი.

ბოლშევიზმმა იმიტომ გაიმარჯვა, რომ რუსის ხალხს არ აღმოაჩნდა საკმაო ეროვნული გამწიფე. რუსის ემიგრაცია არამც თუ მომწიფდა, გადამწიფდა კიდეც! ჩვენ დიახაც პა[illegible] მაგრამ [illegible] მოპყრობას მოველით მათგან. ნამდვილი ეროვნული მორალი იმაში მდგომარეობს, რომ ისეთივე პატივისცემით მოეპყრა სხვა ერს, როგორითაც გინდა თვით შენს ერს მოეპყრან. რუსის დემოკრატები და სოციალისტები არღვევენ ამ წესს და აბუჩათ იგდებენ არარუს ერთა უდაო უფლებებს.

მაგრამ თავი დავანებოთ ამ საანბანო რამეებს და ვკითხოთ მათ: აქვთ თუ არა თავისუფლებისათვის მებრძოლ არარუს ერებს მნიშვნელობა საბჭოთა რეჟიმის ძლევის საქმეში? დადებითი პასუხი ამ კითხვაზე თავის თავათ ცხადია, თუ გავიხსენებთ მათ როლს სულ ახლო წარსულში. თითქოს უდაოა, რომ რუსის და არარუსი ერები ძალზე დაინტერესებული უნდა იყვენ მოხდეს ერთგვარი კოორდინაცია მათი ძალებისა, საერთო მტერთან გასამკლავებლათ. ამისათვის, ყოველ შემთხვევაში, ერთი წინასწარი პირობაა საჭირო, სახელდობრ: ურთიერთ მისწრაფებათა ლოიალური ცნობა. ეს იქნებოდა იმავე დროს უებარი საშუალება დღევანდელ ტირანიისგან განთავისუფლებულ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ერთა შორის საუკეთესო კეთილგანწყობილების დასამყარებლათ მომავალში.

უფიქრიათ თუ არა რუსის დემოკრატებს და სოციალისტებს ამ უაღრესათ პრაქტიკულ კითხვებზე? არა ჰგავს, თორემ ისე მტრულათ არ იქნებოდენ განწყობილი ჩვენი წმინდა მიზნისადმი. შეიძლება ეს გასაკვირიც არ იყოს, რადგან ისინი პრაქტიკაზეც ძალიან შორს არიან, როგორც ზევით დავინახეთ.

ჩვენ ცოტა სხვაგვარ გვაქვს წარმოდგენილი საქმე ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ. იქ, სოვდეპიაში, მებრძოლი ელემენტები თავს არ იმტვრევენ, იმედია, ევოლიუცია-რევოლიუციის დაპირდაპირებაზე, რადგან იციან, რომ ეს ორი ცნება არ უარყოფს, არამედ შეავსებს ერთი მეორეს. იქ კარგათ ესმით, რომ დიქტატურა არ გადავარდება, თუ ძ ა ლ ა თ არ გადააგდეს, ამისათვის კი აუცილებელია შესაფერისი მუშაობა.

აი, ამ მუშაობას ეწევიან არარუს ერებში და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგივე ხდება, შეიძლება უფრო ნელი ტემპით, თვით რუსის ერში. აქ არ არის ლაპარაკი ამა თუ იმ კონკრეტიულ გამოსვლებზე, ეს დამოკიდებულია ადგილობრივ ვითარებაზე, ზევიდან არ შეიძლება მათი კარნახი. თავი და თავი ისაა, რომ ხალხი გაიმსჭვალოს ურყევი რწმენით და ნებისყოფით მოახლოებული დიდი კრიზისი თავის სასარგებლოთ გამოიყენოს.

მაშასადამე, ჩვენ არ გვგონია, რომ ის, რაც აქ თითქოს შეუძლებელია, იქაც შეუძლებელი გახდეს: საერთო ენის გამონახვა რუს და არარუს დემოკრატიას შორის რეჟიმის დასანარცხებლათ და მის ნანგრევებზედ თვითეულ ერის სახელმწიფოებრივ უზენაესობის დასამკვიდრებლათ. რუსის ემიგრანტები გაუსწორებელი დოქტრინერები არიან, მაშინ როდესაც იქ, ს. ს. რ. კ.-ში, ყველას ულმობელ სინამდვილესთან აქვს საქმე. ჯერ თვით ბოლშევიკები იძულებული გახდენ, თუმცა მახინჯათ, ყოფილი იმპერია ეროვნულ-ტერიტორიალურათ დაეყოთ და აღეარებიათ ქაღალდზედ მაინც თვითგამორკვევის და «კავშირი»-დან თავისუფლათ გასვლის უფლება. ფიზიკის კანონია, სივრცე ცარიელი ვერ დარჩება, სწორეთ ასე, ეს ლამაზი სიტყვებიც ხორცშეუსხმელი ვერ დარჩება.

ასე თუ ისე, რუსებთან თუ ურუსებოთ, არარუსი ერები გასროლილ შურდულივით გაჰყვებიან ერთხელ აღებულ გზას, დარწმუნებულნი იმაში, რომ მათი ჯერიც ჩქარა დადგება—თვით გამოსჭედონ თავისი მომავალი.

## მოსკოვის საიუბილეო «მიღწევანი».

მოსკოვი თითქმის ერთი თვე დღესასწაულობდა ათი წლის ბატონობას საბჭოთა რუსეთში.

ამ დღესასწაულს არ აკლდა არც ერთი საპარადო მხარე. ამ დროისათვის მოსკოვმა მოიწვია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან «მუშების და გლეხების დელეგაციები». მათი მოწვევის მიზანი აშკარაა—უცხოეთში პროპაგანდა.

მაგრამ დღეს ბოლშევიკები თვალებს ვერავის აუხვევენ. მათი მოყიდული აგენტების ფასი ყველამ იცის.

მოსკოვი ათი წლის არსებობის ჯამს უკეთებს და რაღაც გამარჯვებებზე ლაპარაკობს, ნამდვილათ კი ის დამარცხებულია ყოველ ფრონტზე და მისი სრული ლიკვიდაციის დღეც შორს არ არის.

დღეს გულწრფელათ მოსკოვის გამარჯვება არავის სჯერა, არ სჯერავს ეს თვით კრემლის ბრძანებლებსაც, მეტად აშკარაა მათი პოლიტიკის სიკოტრე, რომ კიდევ შესაძლებელი იყოს ვინმეს თვალების ახვევა სხვადასხვა მახინაციებით. საგარეო პოლიტიკაში მოსკოვს ჰქონდა «მისი დღე», ეს იყო დღე, როდესაც ევროპა შეეცადა მასთან ნორმალურ სახელმწიფოებრივი ურთიერთობის დამყარებას. მაგრამ ეს დღე წავიდა. წავიდა სამუდამოთ. მოსკოვმა ვერ ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით, შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობით, მან შეთანხმებას განშორება არჩია. მოჩვენებითი გამარჯვებით დამთვრალმა მეტიჩრობა დაიწყო. საკუთარი ძალა გადააფასა. მოინდომა მსოფლიოს ასვრა, გაიყვანა ინტრიგის და პროვოკაციების ხვრელები ევროპის დიდი სახელმწიფოების უმტკივნეულეს ადგილებში. ევროპამ ხვრელებს მიაგნო. მტერი ამხილა, გააშიშვლა, მისი მახინჯი სახე ყველასათვის აშკარა დასანახი გახადა და მისგან პირი იბრუნა.

იწყება მეორე ფაზა მოსკოვის საგარეო პოლიტიკაში.

ჩინეთში ჩანგსოლინი ბოლშევიკურათ ანადგურებს მოსკოვის აგენტებს და წყვეტს მოსკოვთან კავშირს. ინგლისმაც დაარღვია ტრადიციული თავაზიანობა და მოსკოვის დიპლომატებს გუდა-ნაბადი აუკრა და საზღვარზე მიუთითა. ამავე დროს მოსკოვს საფრანგეთთან ურთიერთობა უმწვავდება. «რაკოვსკის საქმე» მოსკოვის სასკანდალოთ გათავდა. გერმანიის მუშებში მოსკოვს არასოდეს ქონია გავლენა. ინგლისის მუშათა კლასი სისწორით აფასებს მოსკოვის «რევოლიუციონერებს». ტრედიუნიონები და ინგლისის მუშათა პარტია არ იღებს მონაწილეობას მოსკოვის ათი წლის თავზე დღესასწაულში. არც სხვა ქვეყნების მუშებს სჯერა რაიმე მოსკოვის. მათი სოციალისტური პარტიები უარყოფით შეხვდენ სადღესასწაულო მოპატიჟებას მოსკოვში. უკანასკნელის წინაშე აიტუზა პოლიტიკური და მორალური ზღუდე, ზღუდე გაუვალი. ამ მორალური და პოლიტიკური იზოლაციის ბუნებრივი შედეგი შეიქნა ეკონომიური იზოლაცია. მოსკოვი ევროპას კრედიტებს თხოვდა. ვერ იშოვა. მომავალში მისი შოვნის იმედი სულ არ არის. საგარეო ფრონტზე სრული სიკოტრე. იგივე საშინაო ფრონტზე. ადამიანის ელემენტარული უფლებებიც კი არ არის დაცული დღეს საბჭოთა კავშირში.

აზროვნების, წერის, სიტყვის, კრების თავისუფლება მოსპობილია. ოჯახი გადაგვარებულია. ბავშს ჩეკის აგენტათ ზრდიან. მას უნერგავენ უკიდურესს მილიტარიზმს და სიძულვილს. მუშა და გლეხის მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. მუშის ხელფასი ნაკლებია არა მარტო ომის წინა ხელფასთან შედარებით, არამედ მუშა დღეს უფრო ნაკლებს იღებს, ვიდრე ის ღებულობდა ამ ორი-სამი წლის წინად. გაფიცვის უფლება კი მოსპობილია. უმუშევართა რიცხვი მატულობს. თვით ბოლშევიკების ოფიციალურ წყაროებიდან (შრომის კომისარიატი) სჩანს, რომ მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველ იანვარს 1925 წელს უმუშევართა რიცხვი აღწევდა 901,600 მუშას, პირველ იანვარს 1927 წელს კი უმუშევართა რიცხვი იყო 1.559.306. თუ ამ რიცხვს დაუმატებთ სოფელში უმუშევრად დარჩენილ გლეხებს, რომლებიც ქალაქებს აწყდებიან, მაშინ უმუშევართა რიცხვი ორ მილიონ ნახევარს აღემატება. ერთის მხრით მშრომელთა სიღარიბე მატულობს და მეორეს მხრივ ცხოვრების სიძვირე იზრდება. გლეხს არა აქვს საშვალება იყიდოს აუცილებელი საჭიროების საგნები, რადგან იგი იძულებულია მიყიდოს მთავრობას ხორბალი მხოლოდ ერთ მეოთხედით მეტად ვიდრე ომის წინ და საჭირო საგნების ფასი კი ორჯელ-სამჯერ მეტია, ვიდრე ომის წინ. სოფლის სამეურნეო მანქანებზე ლაპარაკიც ზედმეტია—ის არ არსებობს. თვით ქალაქის წარმოება ზოგ ადგილას სრულებით შეჩერებულია და ზოგი კი თანდათანობით ეცემა. ამ რიგათ საბჭოთა კავშირის ეკონომიკა კატასტროფის წინაშე დგას. ამასთან დამოკიდებულებით შინაური პოლიტიკური ვითარება საბჭოთა კავშირისა აჩქარებული ტემპით რთულდება. ერთ დროს ვითომდაც მთლიანი კომუნისტური პარტია ინგრევა—ოქტომბრის გმირებს—ტროცკის, ზინოვიევს პარტიიდან აძევებენ. ოპოზიცია უკვე აქტიურ ბრძოლას შეუდგა. მორალურად ოპოზიცია იმარჯვებს, მისი რიცხვიც იზრდება. მმართველი წრეები სტალინის მეთაურობით სასტიკი რეპრესიებით უმასპინძლდება მათ. შესაძლებელია საფრანგეთის რევოლიუციის მაგალითების განმეორება, როდესაც მოწინააღმდეგენი ერთი-მეორეს გილიოტინის საშვალებით უსწორებდენ ანგარიშს.

სტალინი ხომ ლენინის მაგიერობას ვერ გასწევს. 1921 წ. სამხედრო კომუნიზმის დაბოლოვების შემდეგ, ბოლშევიკური რეჟიმი, კრონშტატის ამბების და შიმშილობის გამო, განსაცდელში ჩავარდა. სწორედ ამ დროს ლენინმა მოიგონა ეგრედ-წოდებული ახალი ეკონომიური პოლიტიკა—ნეპი. ამ მოხერხებული უკან დახევით, ამ ტაქტიკური მანიოვრის წყალობით, მოსკოვმა დღემდის იბოგინა.

სტალინს არ ძალუძს და არც ობიექტიური მორალური, პოლიტიკური პირობები ხელს უწყობენ მას, გადაიხაროს კიდევ უფრო ნეპის მარჯვნივ. მაშინ ხომ ის დაჰკარგავს იმ უკანასკნელ ფუძეს, რომლის საშვალებით განაგებს ქვეყანას.

როგორ ახალ საშვალებებს მიმართავს კიდევ სტალინი,

ან რამდენხანს შესძლებს იგი მდგომარეობის შენარჩუნებას, ამას მომავალი გვაჩვენებს. მხოლოდ აღსანიშნავია აქვე შემდეგი გარემოება: გარეგნულად საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ვითომდაც წესიერება სუფევს და მშვიდობიანობა დამყარდა, არც რაიმე რევოლიუციონურ გამოსვლებს აქვს ადგილი იქ; მიუხედავათ ამისა მმართველი წრეები და ოპოზიციაც, პანიკით შეპყრობილნი, რაღაც მოუსვენრად შფოთავენ. აი სწორედ ეს არის მაჩვენებელი საბჭოთა კავშირის ისეთ განვითარებამდის მიღწევის, როდესაც იწყება ბოლშევიკური რეჟიმის საბოლოვო ლიკვიდაცია.

ასეთ პირობებში ქართველი ხალხი, რასაკვირველია, დიდი სიფხიზლით ადევნებს თვალყურს, თუ რა ხდება მტრის ბანაკში, რადგან მას კარგათ ესმის, რომ მოსკოვის დამარცხება მას გაუადვილებს თავისუფლების მოპოებას.

საქართველოს მრავალ საუკუნოების განმავლობაში ბევრი უბედურება გადაუტანია. ქართველი ხალხი ყოველთვის გმირულად იცავდა თავის მიწა-წყალს შემოსეულ ურდოებისაგან და დღემდის შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე და კულტურა. დღეს ქართველი ხალხი აგრძელებს დაუღალავ ბრძოლის წინაალმდეგ მოსკოველ ოკუპანტებისა—საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ ვიმყოფებით დღეს მეტად მძიმე და საპასუხმგებლო მომენტში. მოსკოვი ლამობს ჩვენი ეროვნული სიმდიდრე ჩაჰყლაპოს, ჩვენი დამოუკიდებლობა მოსპოს,—ჩვენ ვებრძვით მას. ჩვენ შევიგნეთ სიდიადე ასეთი მდგომარეობის; ჩვენ ვიგრძენით მტრის უსირცხვილო მოურიდებლობა, ჩვენ განვიცადეთ მისი დაუზოგველი სისასტიკე. ჩვენ კარგათ გვაქვს გათვალისწინებული მდგომარეობის სირთულე. ამიტომ ვსცნობთ აუცილებელ საჭიროებათ მთლიანი ეროვნული ფრონტის არსებობას. ყოველი ქართველი პატრიოტი ამ ფრონტში ჩადგება. ბრძოლა მოძალადეთა წინაალმდეგ გახანგრძლივდა. დიდი მსხვერპლი იქნა გაღებული. მაგრამ ქართველი ერი მტკიცე სულით და იმედიანი გულით შეყურებს მომავალს. მის მხარეზეა ისტორია და სამართლიანობა. ის გაიმარჯვებს და შეაჩვენებს მოღალატეთ. დრო ბოლშევიზმის სამარეა, ქართველი ერის კი მოძმე-თანამშრომელი.

იოს. გობეჩია.

---

## პოლიტიკური შანტაჟი და ბერლინის ჩერვონცები.

იმ დროს, როცა გამწვავებული იყო ბ. რაკოვსკის საკითხი პარიზში, ბ. ჩიჩერინმა წინადადება მისცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, არისტიდ ბრიანს—ხელშეკრულება დავდოთ «მეგობრობის და არ-ჩარევისაო».

ეს «არ-ჩარევა» ახალი ტერმინი იყო, ჯერ უცნობი საერთაშორისო უფლებაში.

ამ «არ-ჩარევის» სამაგიეროდ ბ. ჩიჩერინი მოითხოვდა საფრანგეთისაგან კავკასიის საზღვრების ცნობას.

ამ მოთხოვნილებამ ნათლად ამხილა ყველას, რომ მოსკოვის დიქტატორებს გული საგულეში არა აქვთ შესახებ რუსეთის სუვერენობისა კავკასიაზე. ისინი კარგად ჰხედავენ, რომ რუსეთის ბატონობა კავკასიაში მოკლებულია ყოველ უფლებრივ საფუძველს. აშკარაა აგრეთვე სურვილი გამოჰგლიჯონ საფრანგეთს, მოტყუებით და დიპლომატიური ხრიკებით, ცნობა «კავკასიის საზღვრებისა», ესე იგი დავიწყება და დაკანონება იმ საერთაშორისო დანაშაულის, რომელიც ჩაიდინა ბოლშევიკურ რუსეთმა კავკასიის რესპუბლიკების მიმართ.

ამ რესპუბლიკათა შორის საქართველოს უჭირავს განსაკუთრებული ადგილი, ვინაიდან ის იყო ცნობილი დე-იურე, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, დიდი და პატარა სახელმწიფოების მიერ. თვით რუსეთმა აღიარა დამოუკიდებლობა საქართველოსი და ხელი აიღო სამუდამოდ და უდავოდ ქართველ ხალხზე და მის მიწა-წყალზე. მაგრამ უფლების და პატიოსნების პრინციპი არ არსებობს ბოლშევიკური რუსეთისათვის და სწორედ მაშინ, როცა საქართველო უნდა შესულიყო ერთა ლიგაში, ვერაგულად თავს დაესხა მას და ბოლო მოუღო მის დამოუკიდებელ არსებობას.

ჟენევაში ყველა, დიდი და პატარა სახელმწიფოები, ემზადებოდენ საქართველოს სადღესასწაულო მისაღებად საერთაშორისო ოჯახში და იქ, კავკასიაში კი, იმარხებოდა ბრძოლის კვამლში გახვეული საქართველო... ეს იყო ცინიკური გამოწვევა მთელი განათლებული კაცობრიობის: «ფეხზე მკიდია შენი უფლება და კაცობრიობაო!..» ჰყვიროდნენ ბოლშევიკები.

ბოლშევიკებს ეგონათ, რომ ერთის დაკვრით გაათავებდნენ კავკასიის საკითხს; მაგრამ ამ დაკვრით სულ ძირი გამოუნგრიეს რუსეთის ბატონობას კავკასიაში. საქართველოს დაპყრობა იყო ნამდვილი მკვლელობა მთელი ერის და ამისთანა დანაშაული არასოდეს არ წაიშლებოდა კაცობრიობის ბუნებიდან. თვით ბოლშევიკების სინიდისი, უკვე გავარჯიშებული ყოველ სინიდისის გამასხარავებაზე, არ იყო მოსვენებული. ბოლშევიკები ჰგრძნობდნენ ჩადენილ დანაშაულს და ეძებდნენ შესაფერ მომენტს, რომ წარეშალათ ეს მწვავე მოგონება.

და აი ჩიჩერინმა დაინახა, რომ რაკოვსკის მიერ ატეხილი აურ-ზაური სწორედ ხელსაყრელი მომენტია. საზოგადოებრივი აზრი ძალიან აღელვებული იყო ბოლშევიკების თავგასული პროპაგანდით საფრანგეთში და ჩიჩერინმაც მისცა წინადადება ბრიანს: დავდოთ ხელშეკრულება არ-ჩარევისაო! ჩიჩერინი იფიცებოდა: «პირობას ვიძლევი თქვენს შინაურ საქმეში არ ჩავერევითო, პროპაგანდას არ გავწევთ, ფულით არ დავეხმარებით კომუნისტურ გაზეთებსო, ჯარის კაცებს არ ავაჯანყებთ ოფიცრების წინაალმდეგო, მაღაზიებს არ გავცარცვავთ, ეროვნულ გმირების საფლავებს არ შევბილწავთ და სხვადასხვა... ყველა ამის მაგიერ გთხოვთ იცნოთ კავკასიის საზღვრებიო!» ჰხედავთ, რა ფრთხილი იყო წინადადება? საქართველოს ხსენება საქმეს დაღუპავდა, ამიტომ რბილად იყო თქმული «კავკასიის საზღვრები».

მაგრამ ბრიანმა ყურადღება არ მიაქცია და ეს პოლიტიკური შანტაჟი სამარცხვინოდ ჩაიფუშა.

---

მაგრამ რაა ბოლშევიკებისათვის დიპლომატიური დამარცხება? განა ერთჯერ თუ ორჯერ მოხვედრიათ უფრო ცხელი პანღური? თუ დიპლომატიაში ვერა მოახერხა რა, განა არ არის სხვა გზები იმავე მიზნის მისაღწევად? მათ ხელში ყოველი ღონისძიება კარგია, ყველაფერი დასაშვებია, ოღონდ კი საქართველოს საკითხი სამუდამოდ დაიმარხოს ან მის კანონიერ და პასუხისმგებელ წარმომადგენლებს სახელი როგორმე გაუტყდეს. საჭიროა მხოლოდ, რომ ევროპის და ამერიკის საზოგადოებრივ აზრმა დაივიწყოს საქართველო, გული აიცრუოს მაზე, დაჰკარგოს საქართველოს ბედისადმი თანაგრძნობა... მაგრამ როგორ?—აი როგორ:

გერმანიაში აღმოჩნდა ვიღაც სადათიერაშვილი. მას მოუწყვია ყალბი ჩერვონეცის ქარხანა. როცა დაიჭირეს, მან მედიდურად განაცხადა: «მე ქართველი ვარ და ჩემი ერთად ერთი სურვილია ფინანსიური დახმარება აღმოვუჩინო ქართველი ერის განმათავისუფლებელ მოძრაობასო»... ვაშა! ვაშა!

მაგრამ ვინ ბრძანდება თვითონ ეს სადათიერაშვილი? მისი გვარი ცუდად ეხამუშება ქართველ ყურს და მგონი საეჭვო არის მისი ქართული ჩამომავლობა. რაც გინდა იყოს, ერთი ეჭვის გარეშეა: ამ გვარის კაცი სრულებით უცნობი არის ყოველ პოლიტიკურ პარტიაში, როგორც საქართველოში, ისე სამზღვარ გარეთ.

იგი აცხადებს, რომ ქართულ ეროვნულ მოძრაობისათვის ფინანსიური დახმარება მინდოდაო.—უფრო საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ დაეხმარა ფინანსიურად თვითონ მას? მართლა ფულის მოჭრა, ესეც ერთნაირი «წარმოებაა», რომელიც ითხოვს კარგად მოზრდილ თანხას. თვით სადათიერაშვილმა განაცხადა, რომ მას ამ ქარხნის მოწყობა დაუჯდა 7-8 ათასი გირვანქა სტერლინგი. საიდან არის ეს ფული? ამისთანა თანხა არ ექნებოდა მას, როგორც ემიგრანტს, მით უფრო როგორც საბჭოთა კავშირის მოქალაქეს, სადაც კერძო საკუთრება არ არის დიდ პატივისცემაში.

მერე, რა მოსაზრებით აირჩია ამ საკვირველმა პატრიოტმა რუსული ჩერვონეცი, როგორც მოსაჭრელი ფული? ბოლშევიკებს კრედიტი არსადა აქვთ და ამ კრედიტთან ბრძოლა სამასხარო გამოდის; მერე დახურდავება ჩერვონეცის შეუდარებლად უფრო ძნელია, ვიდრე ყოველი სხვა ფულისა, რადგანაც მას ბანკებში არსად ღებულობენ. რა «ფინანსები» უნდა გამომდინარიყო ამისთანა ყალბი ფულისაგან?!

იბადება ბევრი სხვა კითხვებიც და... უკვე მოსჩანს გძელი ყურები ბოლშევიკური ვირისა!—რაც გინდა იყოს, აღსანიშნავია ბერლინის პოლიციის წინდაუხედავი აჩქარება: მან საჭიროდ დაინახა ამ ბოლშევიკური პროვოკატორის განცხადება მაშინადვე ტელეგრაფით გადაეცა მთელი მსოფლიოსათვის და ამნაირად დახმარება გაეწია მოსკოვიდან მოწყობილ შანტაჟს.

მაგრამ მოსკოვი ცდება. მის მიერ მოწყობილი პროვოკაცია და ცილის წამება მიზანს ვერ მიწვდება, ვერ მიწვდება ქართველ მამულიშვილების თავგანწირულ ბრძოლას, ვერ მიწვდება იმ პირებს, ვისაც ისტორიამ არგუნა უდიდესი მოვალეობა—დაცვა საქართველოს სახელმწიფოებრივი უფლებისა. ცილისწამების მოწყობით იგი სახელს ვერავის გაუტეხს და ვერც გასწმენდს ნიადაგს იმისთვის, რომ ევროპამ იცნოს «კავკასიის საზღვრები».

მოსკოვმა უნდა გაიგოს, რომ საქართველოს საკითხი არ არის მარტო ადგილობრივი. იგი უფრო შორსა სცემს. მას აქვს თავის გამოძახილი ყოველ ადამიანის შეგნებაში. იდეამ უფლებისა თუ უხეშმა ძალამ, რამ უნდა გადაწყვიტოს ერის ბედი?! აი რა პრობლემა დაუყენა კაცობრიობას საქართველოს ტრაგედიამ. და კაცობრიობაც იმას გვერდს ვერ აუხვევს.

ის უნდა გადაწყდეს თანახმად საერთაშორისო სამართლისა.

გიორგი გვაზავა.

---

## საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებიდან.

### III.

### სახელმწიფო ბიუჯეტი.

თუ საქონლის ტრიალი სახელმწიფოში და სახელმწიფოს აღებმიცემობა გამომხატველია ერის მწარმოებელ ძალთა განვითარების და მისი სხვა ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის, სახელმწიფო ბიუჯეტი გამოხატავს ერის შესაძლებლობას თავისი სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ და სახელმწიფოებრივი ცხოვრების განსავითარებლათ.

წლიდან წლამდის იზრდება სახელმწიფოს მოსახლეობა, იზრდება ამ მოსახლეობის მოთხოვნილებანი და ამიტომ იზრდება სახელმწიფოს ბიუჯეტიც; ხოლო, რადგან თანამედროვე სახელმწიფო თანდათან ხელში იღებს სხვადასხვა ისეთ ფუნქციებს, რომელსაც წინათ საზოგადოება კერძო საშვალებით იკმაყოფილებდა, ეს გარემოება კიდევ ზედმეტი ფაქტორია სახელმწიფოს ბიუჯეტის ზრდისა და მატების. ამიტომ ბიუჯეტის დასახასიათებლათ და ერთი ქვეყნის ბიუჯეტის სხვადასხვა დროის ან მეორე ქვეყნის ბიუჯეტთან შესადარებლათ მარტო ის კი არ კმარა, თუ რამდენი იხარჯება საერთოდ და ადამიანის სულზე პროპორციულად, არამედ საჭიროა იმის გათვალისწინებაც თუ რაოდენ საზოგადოებრივ ფუნქციებს ემსახურება რომელიმე სახელმწიფოს ბიუჯეტი. არის, მაგალითად, სახელმწიფოები, სადაც რკინის-გზები, ტელეფონი და სხვ. სახელმწიფოს ხელშია და სახელმწიფოს ექსპლოატაციის საგანს შეადგენს; წინაალმდეგ, არის სახელმწიფოები, სადაც დასახელებული წარმოებანი უმთავრესად კერძო საზოგადოებათა ხელშია და სახელმწიფოს ბიუჯეტში არ შედის. პირველ შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტი (როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში), რა თქმა უნდა, უფრო დიდია და ადამიანის სულზე იქ შემოსავალი და გასავალი მეტი მოდის, ვინემ მეორე შემთხვევაში. მაგრამ ამავე დროს სულ ადვილი დასაშვებია, რომ იმ საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე, რომელიც ორივე სახელმწიფოს ერთნაირათ აქვთ ხელში აღებული, მეორე სახელმწიფოში მეტი იხარჯებოდეს საერთოდ და კერძო ინდივიდის მიხედვითაც, ვინემ პირველში.

მე ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა, რომ სახელმწიფო, პრინციპიალურად, რაც ნაკლებ საზოგადოებრივ ფუნქციებს აიღებს ხელში, მით უკეთესია მეთქი; არა, თანამედროვე სახელმწიფოებს ამ მხრივ სრულიად გარკვეული ხაზი აქვთ აღებული და სრულიად სამართლიანადაც: საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სახელმწიფოს და იმის ადგილობრივ თვითმართველობათა საქმეა და მოვალეობა. ხოლო მე ის მინდა ვსთქვა, რომ რამდენათ მეტი მოთხოვნილების დაკმაყოფილება თავზე აქვს აღებული სახელმწიფოს, იმდენათ მისი ბიუჯეტი უფრო მეტი უნდა იყოს, სახელმწიფოს საშვალებანი ასეთი ბიუჯეტის დასაკმაყოფილებლათ უფრო დიდი *).

დღეს არ არის მსოფლიოში სახელმწიფო, რომელსაც იმდენი მოვალეობანი ჰქონდეს ხელში აღებული, რამდენიც საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს საერთოდ და თითოეულ საბჭოთა რესპუბლიკას კერძოთ; მათ ხელში უჭირავთ არა მარტო ადმინისტრაცია, სახალხო განათლება, ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა, ჯარი, ტრანსპორტი, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვ., არამედ თითქმის მთელი მრეწველობა, ვაჭრობა, კრედიტი, გამომცემლობა და მრავალი სხვა ფუნქცია, რასაც სხვა სახელმწიფოებში (მათ შორის ძველ რუსეთშიც) ჩვეულებრივად და უმთავრესად კერძო დაწესებულებანი კისრულობენ. აქედან ცხადია და à priori უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის დღევანდელი ბიუჯეტი გაცილებით მეტი უნდა იყოს, ვიდრე ძველი რუსეთის, რომ მან იმდენათ მაინც დააკმაყოფილოს სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებანი, რამდენადაც ეს თუნდაც ძველი რეჟიმის დროს იყო დაკმაყოფილებული.

ახლა ავიღოთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ნორმალურ დროს, ომის წინა წლებში. საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით იხარჯებოდა დაახლოებით 40-45 მილიონი მან. წელიწადში. მაშინ ვაჭრობა-მრეწველობა, კრედიტი, გამომცემლობა და სხვ. მრავალი დარგი, რაც ახლა სახელმწიფოს ხარჯზეა, უმთავრესად კერძო პირთა და დაწესებულებათა ხელში იყო და ამ უკანასკნელთა ხარჯით ინახებოდა. გაიზარდა ახლა, სახელმწიფოს მიერ ახალ ფუნქციების ხელში აღების გამო, შესაფერისად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ჯამი (შემოსავალი და გასავალი)? სრულიადაც არა; წინაალმდეგ, 1924-25 წ. საქართველოს ტერიტორიის მთელი სახელმწიფო შემოსავალი უდრიდა 23.917 ათას მანეთს და ხარჯი 21.634 ათას მანეთს, ხოლო არა ჩვეულებრი ხარჯის მითვლით 27.757 ათას მანეთს (ყველა ცნობები ამ წერილშიც საქართველოს საბჭ. რესპუბლიკის შესახებ, თუ წყარო არ იქმნა დასახელებული, ამოღებულია «საქართველოს სახ. მეურნეობა 1924-25 წლიდან»). ამნაირათ, ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტი, თუმცა იმაში მრავალი ახალი სახის ხარჯია შესული, მაგალითად 1913 წ. შედარებით (45.837 ათასი მან.) არამც თუ არ გაზრდილა, არამედ შემოკლებულა 40 პროცენტით. ეს არის ზოგადი დამახასიათებელი ნიშანი საქართველოს დღევანდელ სახელმწიფო ბიუჯეტის. განვიხილოთ ამ ბიუჯეტის ზოგიერთი დეტალებიც.

საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი, ისე როგორც გასავალიც, ჯგუფდება სამ კატეგორიათ სამნაირ ბიუჯეტის მიხედვით: ბიუჯეტი რესპუბლიკანური, ფედერატიული და საკავშირო.

1924-25 წ. საქართველოს რესპუბლიკანური ბიუჯეტით შემოსავალი შესდგებოდა შემდეგ წყაროებიდან და უდრიდა (ათას მანეთებში):

| | | |
|---|---|---|
| ა. პირდაპირი ხარკები (სას.-სამეურ., სარეწავი, საშემოსავლო და სამემკვიდრეო) | 4.691,1 ანუ | 40,5 პრ. |
| ბ. საფასურები | 217,6 ,, | 1,9 ,, |
| გ. არა საგადასახადო შემოსავალი (რეგალიები, ქონება, სას.-სამ. შემოსავალი და მესაქ., სახ. მრეწ., ვაჭრობა, ბანკები და სხ.) | 845,9 ,, | 7,3 ,, |
| სულ ჩვეულებრ. შემოსავალი | 5.754,6 ანუ | 49,7 პრ. |
| დ. არა ჩვეულებრივი შემოსავალი (ამაში 5.796,5 არის დოტაცია) | 5.827,7 ანუ | 50,3 პრ. |
| მთლად | 11.582,3 ანუ | 100 პრ. |

(153 გვ.)

შემოსავალი ფედერატიული ბიუჯეტით შესდგებოდა შემდეგ წყაროებიდან და უდრიდა (ათას მან.):

| | |
|---|---|
| ა. საგადასახადო შემოსავალი | 30,0 |
| ბ. არა საგადასადო ,, | 387,4 |
| გ. არა ჩვეულებრივი ,, | 151,9 |
| სულ | 569,3 |

შემოსავალი საკავშირო ბიუჯეტით (ათას მან.):

| | |
|---|---|
| ა. საგადასახადო შემოსავალი | 12.788,4 |
| ბ. არა საგადასახადო ,, | 3.303,2 |
| გ. არა ჩვეულებრივი ,, | 1.470,9 |
| სულ | 17.562,5 |

ამ შემოსავალში არაა შესული შემოსავალი რკინის-გზების, რომელიც აგრეთვე საკავშიროა (159 გვ.).

ამნაირათ, საქართველოს მთელი შემოსავალი აღნიშნულ წლის განმავლობაში შეადგინდა (რკინის-გზების გარდა) ათას მანეთებში:

| | |
|---|---|
| ა. რესპუბლიკანური (დოტაციის გარდა) | 5.785,8 |
| ბ. ფედერატიული | 569,3 |
| გ. საკავშირო | 17.562,5 |
| სულ | 23.917,6 |

ესე იგი, საქართველოს მთელი შემოსავლიდან საქართველოს რესპუბლიკის შემოსავალს შეადგენს 24 პროც., ფედერაციის კასაში შედის 2 პროც. და საკავშირო (რუსეთის) კასაში 74 პროც.

ამავე დროს საქართველოში იხარჯებოდა (ათას მან.): რესპუბლიკანურ ბიუჯეტით:

| | |
|---|---|
| ა. ადმინისტრატიული ხარჯი | 1.919,6 |
| ბ. სამეურნეო | 1.079,9 |
| გ. სოც.-კულტურული | 8.582,8 |
| სულ | 11.582,3 |

ფედერატიულ ბიუჯეტით (ათას მან.):

| | |
|---|---|
| ა. ადმინისტრ. ხარჯი | 396,3 |
| ბ. სამეურნეო | 1.750,5 |
| გ. სოც.-კულტურული | 98,7 |
| დ. სტიქიურ უბედურ. საბრძოლ. | 794,5 |
| სულ | 3.040,5 |

საკავშირო ბიუჯეტით (ათას მან.):

| | |
|---|---|
| ა. ადმინისტრ. ხარჯი | 1.539,1 |
| ბ. სამეურნეო | 970,9 |
| გ. თავდაცვაზე | 3.160,5 |
| დ. ფოსტა-ტელ. და ნავთსადგ. | 2.165,3 |
| ე. არა ჩვეულებრივი | 6.148,9 |
| სულ | 13.984,7 (158-9 გვ.). |

ამნაირად, საქართველოს სახელმწიფო გასავალი აღნიშნულ წელში უდრის ათას მანეთში:

| | |
|---|---|
| ა. რესპუბლიკანურ ბიუჯეტით | 11.582,3 |
| ბ. ფედერატიული ,, | 3.040,5 |
| გ. საკავშირო ,, | 13.984,7 |
| მთლად | 28.607,5 *) |

ერთი სიტყვით, თუ საკავშირო ბიუჯეტით გაწეულ «არა ჩვეულებრივ ხარჯს» (6.148,9 ათას. მან.) არ მივიღებთ სახეში, საქართველოს ჩვეულებრივი შემოსავალი (რკინის-გზის შემოსავლის გარდა) ფარავს მის ახლანდელ ჩვეულებრივ ხარჯებს და რჩება კიდევ 1.459 ათასი მან.; ხოლო თუ დასახელებულ «არა ჩვეულებრივ ხარჯსაც» ვიანგარიშებთ, მაშინ დეფიციტი 4.689,9 ათას მან. შეადგენს.

საქართველოს ტერიტორიის მთელი სახელმწიფო შემოსავლიდან, რომელიც 23 მილ. მანეთზე მეტი ყოფილა, საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლად მხოლოდ 5.785 ათასი მანეთი, ე. ი. მთელი შემოსავლის 24 პროც., ირიცხება; ხოლო საერთო გასავლიდან, რომელიც 28,6 მილ. მან. უდრის, საქ. რესპუბლიკანურ ბიუჯეტით იხარჯება მხოლოდ 11.582 ათასი მან. ანუ 40 პრ. ამნაირად, საქართველო როგორც სახელმწიფო შემოსავლის, ისე გასავლის უდიდეს ნაწილში მოკლებულია თავის სუვერენულ რესპუბლიკანურ საბიუჯეტო უფლებას; საკუთარ შემოსავლიდან მას უშუალოდ იმდენიც კი არ რჩება, რომ საკუთარ, რესპუბლიკანურ ბიუჯეტის გასავალი (11.582 ათას მან.) დაფაროს და ამის შესავსები თანხაც მას მხოლოდ «დოტაციის» სახით ეძლევა; საზოგადოების ფართე მასა, ცხადია, ვერ ერკვევა ფინანსიურ ტეხნიკის ამ დეტალში და ეს «დოტაცია»-ც მის თვალში ჰქმნის ილიუზიას

---

*) მე არ ვეხები აქ «ნაციონალიზაციის» და «მუნიციპალიზაციის»-თვის საჭირო სხვა პირობებს, მაგ. ტეხნიკურ მომზადებას, შესაფერისად აღზრდილ პერსონალს და სხვ.

*) ავტორს საერთო ჯამი ხარჯებისა, გადაჯგუფებული ხარჯების მუხლობრივ დასახელებით, ნაკლები გამოუდის, სახელდობ—27.757,1 ათას მან. (160 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის დახმარებისას, მაშინ როცა არსებითად ეს დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა ა ე რ თ ი ნ ა წ ი ლ ი ს ი მ შ ე მ ო ს ა ვ ლ ი დ ა ნ, რომელიც საქართველოდან მიაქვს რუსეთს.

სახელმწიფო, რომელსაც სრული საბიუჯეტო უფლებაც აღარ აქვს, არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და ჩვენ ვიცით, რომ საქართველო დღეს ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ ა ც აღარ არსებობს, როგორც დამოუკ. საბჭოთა რესპუბლიკა; იგი ნაწილია ამიერ-კავკ. ფედერ. რესპუბლიკის და იმის საშვალებით შედის «საბჭოთა კავშირში». ამიტომ არაჩვეულებრივათ არ უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ საქართველოს ტერიტორიის შემოსავლის ნაწილი შედის ამ.-კავკ. ფედერაციის და «კავშირის» კასაში. ეს წმინდა ფორმალური მოსაზრებით. არსებითად კი ამ გარემოებას ის შედეგი აქვს, რომ ამ წესით სწორეთ საქართველოა დაჩაგრული.

როგორც დავინახეთ, ფედერატიულ და საკავშირო ბიუჯეტებს ერთად მიაქვთ საქართველოს შემოსავლიდან 18.131,8 ათასი მან.; იმავე დროს ამავე ბიუჯეტებით ერთად იხარჯება საქართველოში სულ 17.025,2 ათასი მან. ესე იგი, ისინი კი არ ეხმარებიან საქართველოს, პირიქით მათ მიაქვთ საქართველოს შემოსავლიდან. 1.106 ათასი მან. ხოლო ნაჩვენებ შემოსავალში, როგორც აღვნიშნეთ, არაა შეტანილი რკინის-გზის წმინდა შემოსავალი, რომელიც ნაგულისხმევი იყო საქართველოსთვის 1.100 ათას მან. მეტი (55 გვ.) და რომელიც აგრეთვე საკავშირო კასაში შედის. ამნაირათ, ფედერ. და საკავშირო კასას საქართველოს სახელმწიფო შემოსავლიდან მიაქვთ 2.200 ათას მან. მეტი.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, არა ჩვეულებრივი ხარჯების ჩათვლით, დეფიციტით არის დამთავრებული, მაგრამ არსაიდან სჩანს, რომ ეს დეფიციტი საკავშირო კასიდან არის დაფარული. პირიქით, როგორც დავინახეთ, საქართველოს შემოსავლიდან ფედერ. და საკავშირო კასას მიაქვთ ორ მილ. მან. მეტი. მაგრამ მარტო ეს ხომ არ არის რუსეთის «მოგება» ჩვენში; ამას უნდა დაემატოს კიდევ ათეული, და არა ერთი ათეული, მილიონი იმ მოგების, რომელსაც რუსეთს აძლევს საქართველო, როგორც ბაზარი იმის ძვირი საქონლის, როგორც იმის მუშების და უფრო კიდევ ჩინოვნიკების ქირის გამღები, საბანკო, დამზღვევ და სხვ. დაწესებულებათა ოპერაციების ხელის შემწყობი და სხვ. და სხვ.

რათ აფარებენ ხელს ბოლშევიკები ამ გარემოებას? არა მხოლოდ «მოკავშირე სახელმწიფოს», არამედ უბრალო ავტონომიურ სახელმწიფოს და ადგილობრივ თვითმართველობასაც ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი: ცენტრი ეხმარება მას, თუ წინაალმდეგ, ცენტრს უწევს იგი დახმარებას. მაშინ ცენტრის დამოკიდებულება მისდამი სამართლიან პრინციპზე იქმნება აგებული. ვისთვის უნდა იყოს ხელსაყრელი იმის ქადაგება, რომ საქართველო რუსეთის მოწყალებით არსებობს, როცა ეს ახლამდელ პირობებშიც კი ს რ უ ლ ი ა დ ა რ შ ე ე ფ ე რ ე ბ ა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს?

თვითმპყრობელობის დროს ზოგიერთებს საქართველო უბრალო ერობის ღირსათაც კი არ მიაჩნდათ; ასე, 1909 წ. საერობო თათბირზე ზოგიერთი რუსი ამტკიცებდა: საქართველო ერობას ვერ შეინახავს, რადგან იგი უერობოთაც რუსის გლეხის ხარჯზე ცხოვრობსო... ის რუსები მეფის დიდი მოხელეები და «ჭეშმარიტ რუსთა კავშირის» მებაირახტრენი იყვენ ჩვენში, მტერნი ეროვნულ და ყოველგვარ თვითმართველობის და თვითმოქმედების. ხოლო დღეს, როცა ბოლშევიკები საქართველოს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ს უწოდებენ, მაგრამ იმავე დროს იმის ეკონომიურ შესაძლებლობას, იმის ეკონომიურ ღირსებას ისევე უმოწყალოთ ამცირებენ, როგორც ამას ერთ დროს «ჭეშმარიტი რუსები» ამცირებდენ, რითი ხელმძღვანელობენ ისინი თუ არა სურვილით, რომ ამ წესით საქართველოში რუსეთის შემოჭრა და გაბატონება გაამართლონ? სრულიად უნიადაგოა ასეთი ცდა.

როგორც რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვამ ჩვენ დაგვანახა, რომ საქართველოს საბჭოთა კავშირში «შეყვანით» სარგებლობს ეკონომიურათ უმთავრესად რუსეთი და არა საქართველო. საქართველოს დამოუკიდებლობის სახელის გასატეხათ ბოლშევიკებს მოყავთ ხოლმე საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა 1918-1920 წ. წ. თუ ამ დროის ეკონომიური პირობების დასახელება საბუთია იმის, რომ საქართველოს ურუსეთოდ არსებობა არ შეუძლია, მაშინ ბოლშევიკების თვალთაზრისით დამოუკიდებლობაზე ხელი უნდა აიღოს მრავალმა სახელმწიფომ, რომელთა ეკონომიური პირობები 1918-20 წ. წ. და შემდეგაც ბევრით არ სჯობდა საქართველოსას, და უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ა დ ყ ო ვ ლ ი ს ა თ ვ ი თ რ უ ს ე თ მ ა, რადგან იმ დროს (1918-20 წ. წ.) საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა ყოველ შემთხვევაში სჯობდა რუსეთისას.

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა საქართველოს საბჭოთა კავშირში შესვლით გაუარესდა, რადგან იგი ეკონომიურათ გაუთანასწორდა, გაუთანასწორდა ს ი ღ ა რ ი ბ ე შ ი, და ზოგ შემთხვევაში ჩამორჩა კიდეც, სხვებს, წინათ მაზედ უფრო ღარიბს ძველ რუსეთის იმპერიაში შემავალ კუთხეებს.

## IV.

### ჩ ვ ე ნ ი ს ო ფ ე ლ ი.

ვინმე ვლ. ორჯონიკიძეს დაუწერია და «საქ. საგეგმო კომისიას» გამოუცია წიგნი რუსულ ენაზე სახელწოდებით: «საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის თემი. მისი ეკონომიური და ფინანსიური შესაძლებლობანი. 1926 წ.» წიგნი, როგორც ხედავთ, ფრიად საინტერესო საგანს ეხება და წარმოადგენს მასალას, დაგროვილს აღნიშნულ საკითხის გასაშუქებლათ.

თუმცა ამ წიგნში ზოგი რამე არ არის სავსებით გარკვეული «თემის» ახლანდელ მდგომარეობის დასახასიათებლათ, მაგრამ იქ თავმოყრილი მასალის გაცნობა და ანალიზი მაინც საინტერესოა; რამდენათმე მაინც დაგვანახებს იგი, თუ რა მდგომარეობაშია თვით ბოლშევიკების გადმოცემით ჩვენი სოფელი და იმის მოსახლეობა საბჭოთა პირობებში.

1925-26 წლის დასაწყისში საქართველო, აფხაზეთის გარდა, 490 თემათ ყოფილა დაყოფილი (5 გვ.) თემებს აქვთ საკუთარი ბიუჯეტი—თემზე 6.492 მან. საშუალოდ ტფილისის მაზრით და 4.926 მან. საშუალოდ უტფილისის მაზროთ (29 გვ.).

თემის შემოსავალს შეადგენს: 1) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი (20,3 პროც.), 2) დამატებანი სახელმწიფო გადასახადზე (7,4 პრ.), 3) შემოსავალი სოფლის მამულებიდან და წარმოებიდან (9,3 პროც.), 4) ადგილობრივი გადასახადი (0,6 პრ.), 5) სხვადასხვა შემოსავალი (2,6 პრ.) და 6) სახელმწიფოს დახმარება—სუბვენცია (59,8 პროც.).

აღნიშნულ წყაროების მიხედვით ყველა თემების შემოსავალი ერთად უდრის—2.956.380 მან., რომლისაგან 1.770.100 მან. ანუ მთელი შემოსავლის 59,8 პროც., როგორც ზევით ვსთქვით, წარმოადგენს სახელმწიფოს დახმარებას—სუბვენციას. 1925-26 წ. მხოლოდ 30 თემს მოუხერხებია საკუთარის შემოსავლით უდეფიციტოთ ხარჯთაღრიცხვის შედგენა (28 გვ.); დანარჩენები (ბიუჯეტი ჰქონიათ შედგენილი სულ 456 თემს) ყველა სახელმწიფოს დახმარებით ფარავს ბიუჯეტს. ყველაზე მეტს დახმარებას საჭიროებენ რაჭის თემები (საერთო შემოსავლის 86,1 პ.), ყველაზე ნაკლებს—გორის მაზ. თემები (16,2 პ.—33 გვ.).

აღნიშნულ შემოსავლის ფარგლებში იფარება თემის ხარჯებიც. საინტერესოა ამ ხარჯების დეტალიზაცია (34 გვ.). იხარჯება წლიურათ:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ადმინისტ. (თემის და სოფ. აღმასკ.) | 1.329.000 მან. | ანუ | 44,9 პრ. |
| 2. სახალხო განათლებაზე | 839.570 » | » | 28,3 » |
| 3. » ჯანმრთელობაზე | 507.790 » | » | 17,2 » |
| 4. გზებზე | 51.040 » | » | 1,7 » |
| 5. სოფლის მეურნეობაზე | 21.130 » | » | 0,7 » |
| 6. კომუნალურ » | 72.830 » | » | 2,5 » |
| 7. სხვა ხარჯები | 139.940 » | » | 4,7 » |
| სულ | 2.960.350 მან. | ანუ | 100 პრ. |

ამნაირათ ყველაზე მეტი ხარჯი, ყველა ხარჯების თითქმის ნახევარი (44,9 პროც.) საშუალოდ მოდის ადმინისტრაციის (ადგილობრივი აღმასკომების) შესანახად, თუ საქართველოს თემებს ავიღებთ ტფილისის მაზრით; ხოლო ტფილისის მაზრა რომ გამოვაკლოთ, მაშინ ადმინისტრაციაზე უწევს საშუალოდ საერთო ხარჯის ნახევარზე მეტი, სახელდობ, 54,0 პრ. არიან ისეთი მაზრებიც, სადაც თემებს ადმინისტრაციაზე გაცილებით მეტიც ეხარჯებათ; მაგ. ზუგდიდის მაზრაში—82 პროც., ქალ. ფოთის—72,1 პროც., ახალციხის—69,8 პროც., რაჭის—65,1 პრ. და სხვ. (70 გვ.).

თითოეული თემი საშუალოდ ხარჯავს ადმინისტრაციაზე წლიურათ—2.695 მან. (უტფილისის მაზროთ—2.660 მან.).

ამავე დროს იგი ხარჯავს (საშუალოდ):

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახალხო განათლებაზე | 1.839 მ. | უტფილისის მაზ. | | 1.046 მ. |
| ,, ჯანმრთელობაზე | 1.089 | ,, | ,, | 963 ,, |
| გზებზე | 112 | ,, | ,, | 85 ,, |
| სოფლის მეურნეობაზე | 46 | ,, | ,, | 48 ,, |
| კომუნალურ ,, | 159 | ,, | ,, | 64 ,, |
| სხვა და სხვა ხარჯი | 59 | ,, | ,, | 307 ,, |

როგორ არიან აღნიშნულ ხარჯის მიხედვით დაკმაყოფილებული სოფლის საჭირო მოთხოვნილებანი?

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა. სულ საქართველოში ითვლება 198.369 საშკოლო ჰასაკის ბავში; მოსწავლეთა რიცხვი კი დაბალ საფეხურის სკოლებში (4 წლედი და პირველ ოთხ ჯგუფში 7 და 9 წლედების) შეადგენს 132.730. ამნაირათ საშკოლო ჰასაკის მოზარდე თაობის 33 პროც. ანუ 65.639 ბავში შკოლის გარეთ რჩება. ავტორის აზრით ასეთი მდგომარეობა «ნორმალურათ» შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ უბედურება ის ყოფილა, რომ მისი ცნობით: «სინამდვილეში ასეთი ნორმალური მდგომარეობა (sic!) ჩვენ არა გვაქვს არც რესპუბლიკაში საზოგადოთ და არც საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რომელიმე მაზრაში»-ო (59 გვ.).

ხუთი მაზრის თემებში სრულებით არ არსებობს 7 და 9 «წლედი», რვა მაზრის თემებს არ აქვთ «ცხრა-წლედები»; რაც შეეხება პროფესიონალურ შკოლებს მათი რიცხვი რესპუბლიკაში 16 და იქ მოსწავლეთა რიცხვი 659 უდრის (53 გვ.).

არიან მაზრები, სადაც შკოლების რიცხვი საკმარისი ყოფილა, მაგრამ «როგორც წესი» ისინი მოთავსებული არიან შემთხვევითს და საძაგელ შენობებში და ძლიერ საჭიროებენ საშკოლო ინვენტარს და სამოსწავლო ნივთებს (51 გვ.).

მასწავლებლის უმაღლესი ჯამაგირი თემში ძალიან ძვირათ აღემატება 37 მან. 50 კაპ. (1,8 პროც.), ხოლო საშუალოდ (44,5 პროცენტის) შეადგენს 30 მანეთს (65 გვ.) *). შკოლას ჩვეულებრივ არა ყავს მსახური, ხოლო ერთი მასწავლებელი, რომელსაც დაკისრებული აქვს შკოლის გამგის მოვალეობა, არავითარ სპეციალურ გასამრჯელოს მისთვის არ იღებს (57 გვ.).

ცნობილია, რომ ბოლშევიკები საშკოლო განათლების გარდა ბევრს ლაპარაკობენ შკოლის გარეშეც ცოდნის გავრცელების შესახებ. ამისთვის ისინი აარსებენ სამკითხველოქოხებს და წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო პუნქტებს. ა თ ი ა თ ა ს მცხოვრებზე უწევს ორი (2,1) სამკითხველო-ქოხი და 1 0 0 0 წერა-კითხვის უცოდინარზე ერთი (1,3) სალიკვიდაციო პუნქტი (61-62 გვ.)!

ს ა ხ ა ლ ხ ო ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ო ბ ა. მთელს საქართველოში მხოლოდ ექვს მაზრაში, აჭარისტანში და სამხრ. ოსეთში არსებობს სოფლის საავათმყოფოები. დანარჩენ მაზრებში საავათმყოფო სოფლათ არ არსებობს და საავათმყოფოში დასაწოლათ ავათმყოფი სამაზრო ცენტრში უნდა წავიდეს. ათი ათას მცხოვრებზე მოდის ერთი საწოლი საავათმყოფოში (1,1); ხოლო იქაც, სადაც ეს საწოლები არსებობს, ისინი ისე მოუწყობელი არიან და ისეთ ბინებშია მოთავსებული, რომ მოსახლეობა «ჯერ-ჯერობით» გაურბის ამ საავათმყოფოებს და მხოლოდ უკიდურეს გასაჭირის დროს მიდის იქ დასაწოლათ (47 გვ.). მაგალითად, მთელ რესპუბლიკის სოფლის საავათმყოფოებში სულ 203 საწოლი ითვლება, იმათგან ფაქტიურათ მოწყობილი არის მხოლოდ 97, სარგებლობენ კი 47 საწოლით (48 გვ.).

საავათმყოფოებს გარდა, არსებობს საექიმო პუნქტები, რომელთა რიცხვი უდრის სულ 148 და თითო პუნქტზე საშუალოდ 12.615 მცხოვრები მოდის. ზოგ პუნქტის გამგეთ დღესაც ფერშლები ითვლებიან, ხოლო რაც შეეხება ექიმს, ერთი ექიმი დაახლოებით 300 კვ. ვერსტზე (ას კვ. ვერსებზე—0,31 ექიმი) და 11.052 მცხოვრებზე მოდის (50 გვ.). ასეთ მდგომარეობის გამო, მოგვითხრობს ავტორი, მხოლოდ ქუთაისის და შორაპნის მაზრის მოსახლეობას ემსახურება ექიმი ცოტათ თუ ბევრათ ნორმალურათ, ხოლო საქართველოს დანარჩენ მაზრების მოსახლეობა, დაშორებული საექიმო პუნქტს, ვერ მიდის ექიმთან და ვერც ექიმი, მოკლებული წასასვლელ საშუალებას, ემსახურება თვალსაჩინო ტერიტორიასო (51 გვ.).

ა გ რ ო ნ ო მ ი უ ლ ი დ ა ს ა ბ ე ი თ ა ლ ო დ ა ხ მ ა რ ე ბ ა. თუ სახალხო განათლების და ჯანმრთელობის საქმე ასეთ მდგომარეობაშია, თემს არც იმისთვის რჩება საშუალება, რომ ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, თუმცა ოფიციალურად სოფლის მეურნეობის «ინტენსიფიკაციის» შესახებ ლაპარაკი ძალიან ბევრია. როგორც პირველ წერილიდან დავინახეთ სოფლის მეურნეობას არ ეძლევა საკმარისი დახმარება კრედიტით; ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ მას არ ეძლევა დახმარება არც ცოდნით. მთელ საქართველოში 44 აგრონომიული პუნქტი არსებობს და 38 აგრონომი ემსახურება თემის სასოფლო-სამეურნეო საჭიროებას. ამნაირათ თითო აგრონომზე საშუალოდ მოდის 9.480 მეურნეობა და 14.126 დესეტინა მიწა (45 გვ.).

თემთა საჭიროებას 36 საბეითალო პუნქტი ემსახურება; ერთ ბეითალზე 151.261 სული პირუტყვი მოდის (46 გვ.).

გ ზ ე ბ ი. გზების მოსაწყობათ თემებს, როგორც ზევით დავინახეთ, რჩებათ საშუალოდ 85 მან. (ტფილისის მაზრით 112 მან.) წელიწადში. რას აკეთებენ ამ ფულით თემები ან რანაირ მდგომარეობაშია გზები სოფლათ, სამწუხაროთ, ამის შესახებ ავტორი არაფერს ამბობს. ხოლო თუ ქვევით მოყვანილს მის ცნობებს სახეში მივიღებთ, ადვილი წარმოსადგენია, რომ წლიურათ 85 მან. გაკეთებულ გზებით სოფლის მცხოვრებს აღმასკომისთვის თხოვნის მისართმევათაც კი გაუჭირდება სათემო ცენტრში ჩასვლა, თორემ სამეურნეო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესახებ ხომ ზედმეტია ლაპარაკი. დასახლებული პუნქტები დაშორებულია სათემო ცენტრიდან:— 5 ვერსტამდის—1937 სოფელი 1.171.241 მცხოვრებით; 5—10 ვერსტით—1.167 სოფ. 390.343 მცხოვრებით; 10—15 ვერსტით—372 სოფ. 84.623 მცხოვრებით; 15-25 ვერსტით—161 სოფელი 26.932 მცხ.; 25 ვერსტზე მეტით—42 სოფ. 9.434 მცხ-ით (14 გვ.).

ასეთ პირობებში სოფლის და საზოგადოთ სახალხო მეურნეობის განვითარებისთვის გზებს რომ უპირველესი მნიშვნელობა აქვთ, ეს საბჭოთა ხელისუფლებამ, რასაკვირველია, იცის. ამის შესახებ მათი პრესა ხშირად სწერს და ამ მხრივაც, რა თქმა უნდა, დიდ წინსვლას ხედავს. სინამდვილეში კი ვხედავთ, რომ რამდენათ ღარიბი და მოუწყობელი იყო ჩვენი სოფელი გზატკეცილებით და საურმე გზებით, იმდენათვე მოუწყობელი რჩება იგი. საქ. საგეგმო კომისიის წინათ დასახელებულ გამოცემაში მოყვანილია შემდეგი ცნობები: «100 კვ. ვერსზე მოდის საურმე-ტკეცილი გზები საქართველოში 5,3 ვერსტი, იმ დროს, როდესაც იგი უდრის 19,6 ავსტრიაში, 19,7 ვერ. დანიაში, 36,8 ვერ. ბელგიაში, 55,7 ვერ. გერმანიაში, 81,5 ვერ. ინგლისში და 119,3 ვერ. საფრანგეთში» («საქარ. სახ. მეურნეობა» 1924-55 წ. 61 გვ.).

და აი ასეთ პირობებში, როცა «სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაცია» თითქოს დღის წეს-რიგში სდგას, სოფელს ეხარჯება 2.660 მან. «აღმასკომებზე» და 85 მან.—გზებზე!

ძალაუნებურათ მახსენდება ერთ საერობო მოღვაწის (თუ მეხსიერება ამ მღალატობს განსვენებულ გ. თუმანიშვილის) სიტყვები «სტრაჟნიკების» შესახებ: მთავრობა (ძველი-მეფის) რომ საერობო თანხიდან დიდძალ ფულს «სტრაჟნიკების» შესანახათ ხარჯავს, როცა სხვა მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილებელი რჩება, უნებლიეთ იბადება კითხვა: «სტრაჟნიკებს» მეტი ზარალი მოაქვს მოსახლეობისთვის, თუ იმ ყაჩაღებს, რომლიდანაც ისინი თითქოს იცავენ მოსახლეობასო!.. განა ახლაც ასეთივე მდგომარეობა არ არის: ვისი და რისი საქმეებს განაგებენ დღეს ჩვენში «აღმასკომები», რომლის შესანახათ სოფელს შემოსავლის ნახევარზე მეტი ეხარჯება, თუ ამავე დროს ხალხი უგზოობის გამო ვერც ქალაქში ჩავა და ნაწარმოებს ჩაიტანს, ვერც ექიმთან მივა და ავათმყოფს მიიყვანს, ვერც შკოლით ისარგებლებს ჯეროვნათ და ვერც «ლიკპუნქტით»? (უგზოობის გამო ზოგიერთ მაზრებში, ამბობს ავტორი, სამეცადინეო სეზონში არის ისეთი ხანა, როცა მოსწავლეთა 25-30 პროცენტისთვის შკოლა მიუწდომელიაო (55 გვ.).

როცა ყოველივე ზემოთ მოყვანილ მასალას თავს უყრით და იმას ადარებთ არა ევროპის სახელმწიფოებს, არამედ თვით საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს, თქვენ ხედავთ შემდეგ სურათს (პროცენტებში):

| იხარჯება: | საქართველოში | სომ. | აზერ. | უკრ. | რუს.ფ.რ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ადმინისტრაციაზე | 44,9 (54,0) *) | 40,3 | 30,9 | 27,2 | 47,8 |
| 2. კულტ.-სოციალური | 45,5 (40,7) | 43,6 | 49,6 | 53,9 | 38,1 |
| 3. სამეურნეო-საწარმოო | 4,9 | 14,7 | 15,5 | 14,0 | 8,3 |
| 4. დანარჩენი ხარჯები | 4,7 | 1,4 | 4,0 | 4,9 | 5,8 |

(გვ. 35 და 34).

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, საქართველო საბჭოთა კავშირში არის ერთად-ერთი რესპუბლიკა, სადაც თემები (განსაკუთრებით თუ ტფილისის მაზრას არ ვიანგარიშებთ) ხარჯავენ ყველაზე მეტს ადმინისტრაციაზე და ყველაზე ნაკლებს სოფლის სხვა გვარ საჭიროებაზე («კულტ.-სოც.» ხარჯებში უსწრებენ მხოლოდ რუს. ფედ. რესპ.—2,6 პროც.) პროცენტულათ ბიუჯეტის საერთო ფარგლებში. ეს იდიდესი ყურადღება სოფლის ადმინისტრაციის («აღმასკომების») მიმართ ჩვენში სოფლის კულტურულ-სოციალურ და სამეურნეო საჭიროებებთან შედარებით, განა დამახასიათებელი არ არის არსებულ რეჟიმისათვის?

ჩვენ ზევით დავინახეთ, რომ სოფელს აკლია და იგი უზრუნველყოფილი არ არის არც შკოლით, არც საავათმყოფოთი, არც მასწავლებლით, არც ექიმით, არც აგრონომით, არც ბეითალით, არც გზებით... სამაგიეროთ იგი უზრუნველყოფილია ადმინისტრაციით, «აღმასკომით»!

მე არ ვიცი, რა ცოდნის, რა განათლების მატარებელია ამ «აღმასკომების» შემადგენლობა ან საჭიროებს თუ არა საზოგადოთ ამ თანამდებობის შესრულება რაიმე ცოდნას; მაგრამ ვინც ზემოთ მოყვანილ ცნობებს ჩვენი სოფლის მდგომარეობისას გაეცნობა, იგი უსათუოდ იმ დასკვნაზე მივა, რომ იქ ჯერ-ჯერობით ძალიან დიდი ნაკლებობაა მასწავლებლის, ექიმის, ბეითალის, აგრონომის, ინჟენერის და, თუ გნებავთ, «ფინრაბოტნიკისაც», რომლის ნაკლებობას კერძოთ აღნიშნავს ბ-ნი ორჯონიკიძე (38 გვ.). ერთი სიტყვით, სოფელი ძალიან ღარიბია ინტელიგენციით. და აი კიდევ ერთი საბუთი იმის, რომ ჩვენს ინტელიგენციაში თითქოს უმუშევრობა იმიტომ არსებობდეს, რომ საქართველო ინტელიგენციით არის გადავსებული, რასაც ხშირად სწერენ ბოლშევიკები, ყოველივე სიმართლეს არის მოკლებული.

ჩვენი სოფელი ძალიან ღარიბია და კიდევ უფრო მოუწყობელი; მას სჭირია დახმარება ფულით, კრედიტით, ცოდნით, რომ წელში გაიმართოს და ეკონომიურ აღორძინების გზაზე მ ა რ თ ლ ა დადგეს. საქართველოს დღევანდელ სახალხო მეურნეობის ბურჯი—გლეხი ტალახიდან ვერ ამომძვრალა; ამავე დროს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი ავჭალის ელექტრონის სადგურზე იხარჯება და ამ «გაკეთებულ დიდი საქმით» ქვეყანაა გადაყრუებული. ელექტროფიკაცია, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ რ ი ს თ ვ ი ს? მრეწველობის გასანვითარებლად, რომლის «აღმასრულებელი მექანიზმი უკვე გაცვეთილია» თვით ბოლშევიკების გადმოცემით? თუ ტფილისში გზათ გამვლელ «დელეგაციების» თვალების ასაჭყვრიალებლათ?

კ. კანდელაკი.

### ს ტ ა ლ ი ნ ი.

სტალინის ბიოგრაფია მარტივია და ნაკლებად განირჩევა იმ სულწასული ხალხის ბიოგრაფიისაგან, რომელმაც «დიდი ოქტომბერი» შეჰქმნა. კერძოდ სტალინზედ ისიც არ ითქმის, რომ პარიზის კომუნაზედ ერთი წლით ადრეა დაბადებული, როგორც ლენინი «მაგალითად». მაგრამ სტალინი ეშმაკზედ სამი დღით ადრეა დაბადებული და ღმერთზედ ჯერ კიდევ ტფილისის სემინარიაში იყო მწყრალად—სადაც ის სწავლობდა. რას?—ჰომილევტიკა არის მეცნიერება, როგორ უნდა წარმოითქვას ქადაგება მავანი სახარების გამო! მთელი ცოდო სემინარიისა, ჩემის აზრით, ის არის, რომ სტალინს ეს ჰომილევტიკა ასწავლა, თორემ ჰომილეტიკა რომ სხვა დარგის ქადაგებისათვისაც გამოდგება, სტალინს ამაში ბრალი არა აქვს. კაცმა მართალი უნდა აგოს ამ რუსულ სასულიერო სემინარიებს საქართველოში—სადაც იწრთვნებოდა

---

*) მუშის საშუალო ხელფასი ამავე დროს უდრიდა, როგორც პირველ წერილში დავინახეთ, 46,32 მან. და ესეც არაა საკმარისი აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

*) ფრჩხილებში მოყვანილია მაზრები ტფილისის მაზრის გამოკლებით, რომელიც მარტოთ-მარტო, როგორც ზევითაც დავინახეთ, სცვლის საერთო სურათს თემების ბიუჯეტისას.

ქართველი ახალგაზდობის გონება. ლაპარაკს კარგს ასწავლიდნენ. ორატორები ჩინებული გამოდიოდნენ. ამ მშრალ დოგმატიურ ვაჭრობაში ყველაფერი მარტო საღვთისმეტყველო საგნებით არ იყო განსაზღვრული და, გონების წასახალისებლად, ზოგიერთ ერისკაცულ ცნებასაც ასწავლიდნენ. როგორ გააძღო, მაგალითად, მაცხოვარმა ხუთი ათასი კაცი ხუთის პურით—რითი არ არის პოლიტიკური ეკონომია, ამას ანხორციელებს სტალინი დღეს რუსეთში!—და კიდევ პატარა კურსი ენათა მეცნიერებიდგან, რომ—«ქართული ენა ძაღლის ენაა»! ამ უკანასკნელის გამო, ისე უყვარდათ შეგირდებს ეს სემინარია, რომ თავის რექტორს, რუსის არხიმანდრიტს ჩუდეცკის, გვამში დანა გაუტარეს და ეხლა ველარავინ იტყვის, რომ შეგირდები ამ საგანს ხალისით არა სწავლობდნენ. სტალინი ასეთი სემინარიის შეგირდი იყო. ესე იგი, ამითი იმისი თქმა მინდა, რომ რექტორი თითონ სტალინს არ მოუკლავს, ეს ამბავი გაცილებით მასზედ ადრე მოხდა, მაგრამ სტალინი მღვდელი მაინც ვერ გამოვიდა.

განსხვავება ქართული სოფლის უბრალო მღვდელსა, სადაც უნდა ყოფილიყო სტალინი და რუსეთის დიქტატორის შორის, სადაც სტალინი, იქნება, არც უნდა ყოფილიყო—დიდია! ბედი აქ შუაში არ არის და მით უმეტეს ჭკუა. სტალინისთანა ხალხის წინამძღოლი კუდიანი ქარია, რომელსაც არც ბედი მოეთხოვება, არც ჭკუა! ამ ეტლით ადამიანები ხშირად წასულან შორს და უკან აღარ დაბრუნებულან. მაგრამ ამ გზას, განურჩევლად იმისა, გონიერი გადიოდა მას, თუ უგუნური, მუდამ ისტორია ერქვა და ადამიანები მუდამ უკვირდებოდნენ მას.

აბა, შეხედეთ ამ ქართულ აბრაგან ამოკრულ კაცს სად გაჩნდა? ქვეყნის მეექვსედს ქეჩოზედ მოექცა და «დანარჩენზედაც» ხელს აპოტინებს! იმიტომ არ ვამბობ ამას, რომ ქართველებმა ამითი იამაყონ. საამაყო აქ არაფერია! სტალინები კვდებიან, ან ცოცხლადვე ჩამოდიან სცენიდგან და მათი გარდამავალი დიდება ნატისუსალად რჩება მათ მშობელ ერებს. იმის გამო რომ ნაპოლეონი კორსიკელი იყო, კორსიკას არაფერი მოსცხებია. ამ პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეა სწორედ ბონაპარტულმა ორონტრიალმა ჩაალრჩო და ნაპოლეონის ბრწყინვალე მუნდირზედ, რომელიც ფრანგულ სამხედრო ბანაკში იყო გამოჭრილი, კორსიკამ უჩინარ ფოლაქად მიისვენა, სტალინის როლი საქართველოს ბედიღბალში ამაზედ უარესია. მაშ მის დამსახურებაზედ არ არის აქ სიტყვა. ისტორია ქართული ღობის იქითაც სურნელოვანია, ის არსებობს ქართული სარგებლისა და ზარალის გარეშეც და თვალის დახუჭვა იმ მსოფლიო სეირზედ, რომლის მთავარ საგანს დღეს სტალინი წარმოადგენს, შეუძლებელია.

მე არ ვიცი, იცის თუ არა სტალინმა რუსული ისტორია? ამბობენ ისტორიის ცოდნაა საჭირო, რომ ქვეყანა მართო. ძველი ამბავია. მაგრამ აღარ ამბობენ რომ დაძველებულიცაა! როცა ყვავმა ჯვარზედ იცის ჯდომა, საჭირო აღარ არის, უფალი ჩვენი იესო ქრისტეს ტროპარიც იცოდეს! სტალინი რუსულ უნაგირზედ გადაჯდა და რა უყოთ რომ თითონ ქართველია და იმისი ცხენი—უზარმაზარი რუსეთი? თქმაც არ უნდა, სტალინი ამ ცხენიდგან ჩამოვარდება. არა იმიტომ რომ სხვა უკეთესი ბოლშევიკი ჩამოაგდებს. სტალინზედ უკეთესი ბოლშევიკი იქნება არც არის ქვეყნად. მაგრამ სტალინზედ უკეთესი თითონ ეს იმისი ცხენია და სტალინი ჩამოვარდება იმ კანონის ძალით, რომლითაც მხედრებს თითონ ცხენები აგდებენ.

ეს სახვალიო საქმეა, მაგრამ დღეს? რითი მიაღწია სტალინმა თავის დღევანდელ მდგომარეობას? მრავალი რუსი იმდენად უცხოდ სთვლის სტალინს რუსეთისთვის, რომ პირდაპირ გასაოცარია, როგორ მოახერხა საქართველოდგან ასე «ტლუ ბიჭად» მისულმა სტალინმა რუსეთის სათავეში მოქცევა! ის რომ მორწმუნე ყოფილიყო, კიდევ შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ზოგ რამეში ჩვენმა ძველმა «ივერიის ღვთისმშობელმა» უშველა. ამ ქართული ხატის მადლი მოსკოვში, ბოლშევიკურ პაპანაქებაშიაც დიდი იყო. მაგრამ როგორც ზევითაც ითქვა, ხატები სტალინს საქართველოშივე არა სწამდა. და რუსების შეცდომა, რომელთაც სტალინი ორნაირადა სძულთ: როგორც ბოლშევიკი და როგორც ქართველი—ის არის, რომ ეროვნული ჩამომავლობის საკითხი აქ არაფერ შუაშია. სტალინი რა თქმა უნდა რუსი არ არის და რუსეთისათვის უცხოა. მაგრამ სტალინი უცხო არ არის ოქტომბრის რევოლუციისათვის, რომელიც, ევრაზიელების «დინჯი» არგუმენტაციით, ეროვნულად ფრიად დიდი რუსული მოვლენაა. სტალინი ბოლშევიკია და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსული ბუნების განსაკუთრებული თვისების გამო, ამ ქვეყანაში ბოლშევიზმი წმინდა პანრუსული მოვლენა იყო. აი სად არის იმ ნათესაობის ფესვები, რომელიც დამყარდა სტალინსა და იმ ამბებს შორის, რომელიც დღეს რუსეთში ხდება.

იმ ვეებერთელა უკულტურო და ბრიყვ მასსაში, რომელსაც რუსული კომუნისტური პარტია ეწოდება, სტალინის როლი განსაკუთრებული იყო. ლენინმა სტალინს ტლანქი უწოდა. დახასიათება სწორია. მაგრამ ლენინი სხვაში შესცდა. თავისი ტლანქი პარტიისათვის არა ტლანქი მდივანი სურდა. ასეთი ბოლშევიკური შეუსაბამობა იმითი აიხსნება, რომ ბევრი რამ ბოლშევიკური თვით «დიდებში უდიდესსაც» არ ესმოდა. ბოლშევიზმის დასაწყისში ერთი ამბავი მოხდა, რომლის შედეგმა ეხლა იჩინა თავი. ეს გახლავთ როლების დარიგება ბელადებს შორის, იმ პიესაში, რომელსაც «დიდი ოქტომბერი» ეწოდება. თანახმად როლების ამ დარიგებისა—ლენინი ყველაფერი იყო, ის იყო პიესის სული, ასე ვსთქვათ, განზრახვის დედა, თვით განკაცებული კომუნიზმი და გაკომუნიზმებული კაცობრიობა. ზინოვიევი—კომინტერნის თავმჯდომარე, ტროცკი წითელი არმიის შემქნელი და ბელადი, საზოგადოთ, მრავალსახოვანი. თქმაც არ უნდა როლები ეფექტური იყო, ტაში და მოწონება ამ როლებს თავის დროზედ დიდი ჰქონდათ. მაგრამ ამ სულწასულმა ხალხმა ერთი რამ ვერ ამოიკითხა პიესაში. ამ გმირებს მესამე აქტის იქით სიცოცხლე არ ეწერათ. პიესა კი ნამდვილი იყო, კლასიკური რეპერტუარის მიხედვით დაწერილი, ხუთმოქმედებიანი და მრავალის სურათით. მხოლოდ ერთი სტალინი მოჰყვა კომუნისტური პარტიის მთავარი მდივნის ისეთ უფერულ როლში, რომელსაც თამაშობა უკანასკნელ მოქმედებამდე ეწერა. სტალინი პარტიის მთავარი მდივანი იყო და პარტიაში ერთი რამ ისწავლა—მართვა. ამ დროს იგი ნამდვილი დახლიდარი იყო პარტიისა. ნოქრები—ლიდერები ლაპარაკობდნენ და ვაჭრობდნენ—ბოლშევიზმს თავში კარგი მაზანდა ჰქონდა—სტალინი დახლს ითვლიდა. როცა სტალინმა პარტია ჩაიბარა, დანარჩენი განგებაზედ ეკიდა და განგებამაც არ დაიგვიანა. მოკვდა ლენინი! მართლა წმინდა ბოლშევიკური სიბრიყვით აიხსნება, რომ ლენინის სიკვდილმა ბოლშევიკებში ნამდვილი მისტიკა შეჰქმნა. მთელი პარტია ღმუოდა! წვერიანი ხალხი, პარტიულ დიალექტიკაში გაწრთვნილი და უებრო ატეისტები, სამოქალაქო ომ გადახდილი და რიტუალის მტრები, თოფითა და ჯინჯილით იკაზმებოდნენ და ლენინის სურათის წინ საპატიო დარაჯებად დგებოდნენ. ვინ წარმოიდგენდა ასეთ ბოლშევიკურ სინაზეს! ეს კომედია იყო. მაგრამ ეს იყო დურაკების კომედია!

ნამდვილი კომედია მარტო სტალინმა ითამაშა. ლენინი ენა გამოყოფილი მოკვდა და თქმაც არ უნდა, ეს ენა ბოლშევიზმს გამოუყო. მაგრამ მოსკოვში მაინც დიდმა ინტერნაციონალურმა ჯალაბმა მოიყარა თავი, რომლის დანიშნულება იყო, ყველა ენაზედ ეთქვათ, რომ ლენინი მსოფლიო რევოლუციის ბელადი იყო და ბელადათვე მოკვდა. მხოლოდ ერთი სტალინი იყო რომელსაც ესმოდა რომ ამ კუბოს დღეს სწორედ რუსული ლაპარაკი სჭიროდა და ამას გარდა პატარა რუსული ჩოქიც! სხვები ლაპარაკობდნენ სიტყვებს, სტალინმა ლოცვა სთქვა, რითაც ყველას დაანახვა, რომ ცოტა რამ რუსული ხასიათისა მასაც გაგებია! როცა ენა გამოყოფილი დამარხეს, ყველაფერი ენა შეყოფილს დარჩა.

ეხლა ამბობენ, რომ ეს დიქტატურა არის და დიქტატურა კი, როგორც მიღებულია, არ ვარგა. ჯანიც გავარდნია ამ სხვა კარგ მართვა-გამგეობას! რამდენია ქვეყანა და თანაც არა დიქტატორული, სადაც მართვა-გამგეობა არამც თუ არ ვარგა, არაფრად არ ვარგა!

საქმე დიქტატურა არ არის. რამდენი ხანი შეიძლება კაცი ბოლშევიკი დარჩეს, თუ, რა თქმა უნდა, ცოტა ჭკუაცა აქვს, აი საკითხი, რომელიც ეწერა ყველა ბოლშევიკს უბის წიგნის უკანა კაბადონზედ და ყველას ერთი და იგივე პასუხი შეჰქონდა:—ვიდრე არ გაგვაგდებენ! ასეთი პასუხი ხალხისა, რომელსაც მსოფლიოს გარდაქმნის პრეტენზიები ჰქონდა, ჭეშმარიტი პასუხია კურდღლისა, რომელიც კომბოსტოში შეიპარა! არაფერი არ ახდენდა ისეთი უბადრუკობის შთაბეჭდილებას, როგორც ეს გამუდმებული წუწუნი ინტერვენციაზედ, რომელსაც ეს ბოლშევიზმი უნდა «გაეგდო» და მუთაქების წვა, რომელსაც ჩემბერლენზედ გამარჯვება უნდა გამოეხატა. ამ შიშმა გადუქანა ბოლშევიზმს გული და ამ ბოლმა ამოსწვა მას თვალები. სტალინი უკანასკნელ ბოლშევიკურ ხრიკზედ წავიდა და რაკი ბოლშევიზმის აღსასრული მისთვისაც ეჭვს გარეშე იყო, პარტიის კატასტროფისაგან გადარჩენისათვის თითონ შეუდგა ამ ბოლშევიზმის გაგდებას. გენიოსური ამაში არაფერია. მზაკვრობა ბოლშევიზმის წინაალმდეგ, პირიქით—რამდენიცა გნებავთ. მაგრამ ოღონდაც რომ სურათი თქვენი მოწონებულია, და მთელი მსოფლიო ერთი ამოცანის წინაშე დადგა, ვინ უფრო მალე გააგდებს: სტალინი—ბოლშევიზმს, თუ ცხოვრება—სტალინსაც და ბოლშნვიზმსაც?

 შ. ამირეჯიბი.

## საქართველოს საელჩოს განცხადება.

სააგენტო «ჰავას»-მა გადასცა მსოფლიო პრესას საქართველოს საელჩოს შემდეგი განცხადება:

ყალბი ჩერვონცების შესახებ გავრცელებულ ხმების გამო საქართველოს საელჩო პარიზში აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნულ მთავრობას არაფერი აქვს საერთო ამ საზიზღარ საქმესთან და არც მასში გარეულ პირებთან.

რაც შეეხება ვინმე სადათირაშვილს, რომელიც პასუხისგებაშია მიცემული ბერლინში, საელჩო აცხადებს კატეგორიულათ, რომ ეს პიროვნება სრულიად უცნობია საქართველოს ეროვნულ მთავრობისთვის, და ამიტომ მისი ჩვენება, ვითომ «ის სჩადიოდა სიყალბეს ხსენებულ მთავრობის სასარგებლოთ», გამოგონილია მხოლოდ იმისთვის, რომ ჩირქი მოსცხოს ქართულ ეროვნულ საქმეს.

მსგავსი განცხადება გააკეთა ბერლინის პრესაში საქართველოს ეროვნულ მთავრობის წარმომადგენელმა ვ. ახმეტელმა.

## საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის წერილი.

გერმანიის ს.-დემ. პარტიის ცენტრალურ ორგანო «ფორვერტს»-ში (27 ნოემბრის №-ში) მოთავსებულია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის, ბ. ნოე ჟორდანიას შემდეგი წერილი:

«უკანასკნელ დღეებში ბერლინის დეპეშათა სააგენტოებმა ქვეყანას მოსდვეს ცნობა თითქოს საქართველოს ეროვნულ მთავრობას კავშირი ჰქონდეს ყალბი ჩერვონცების მომჭრელ ორგანიზაციასთან, რომელიც აღმოჩენილ იქნა გერმანიაში.

«არსებობს მხოლოდ ერთი ეროვნული მთავრობა საქართველოისა, რომლის თავმჯდომარე მე ვარ და რომელიც დამოუკიდებლობის ხანაში (დაახლოებით 3 წელიწადი) ქვეყანას მართავდა, ხოლო საბჭოთა ჯარების შემოსევის შემდეგ იძულებული შეიქნა სამშობლო დაეტოვებია და უცხოეთში შეხიზნულიყო. აქ ის განაგრძობს მოღვაწეობას თავისი ხალხის გასანთავისუფლებლათ, თანახმათ მანდატისა, რომელიც მან წამოსვლის წინ დამფუძნებელ კრებისაგან მიიღო.

«გერმანიის პრესის მიერ მთელი ქვეყნის წინაშე წამოყენებული დაწამება, რომელსაც შეუძლია უდიდესი ზიანი მიაყენოს ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობას, ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ ბრალდებელ სადათირაშვილის განცხადებას. გასაკვირალია, რომ არავის მოუვიდა კითხვა, თუ რამდენათ ნდობის ღირსია ეს წყარო და დასაშვებია თუ არა, ვიღაც ბოროტმოქმედის შეუმოწმებელ განცხადებაზე დაყრდნობით ჩვენი მოძრაობის წინაალმდეგ აამხედრონ საზოგადოებრივი აზრი. სადათირაშვილი არასოდეს საქართველოს არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა და არ მიუღია მონაწილეობა ეროვნულ ბრძოლაში; ის არასოდეს არ ყოფილა სამსახურში არც ერთ ეროვნულ დაწესებულებაში არც საქართველოში და არც უცხოეთში; დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ის ლეგალურათ ჩამოვიდა საქართველოდან გერმანიაში, სადაც ის ქართულ კოლონიის დაშორებით ცხოვრობდა. ის უნდა იყოს ან ჩვენი ქვეყნის მტრების აგენტი, ან ჩვეულებრივი ბოროტმოქმედი, რომელიც ცდილობს თავისი ბოროტმოქმედება კეთილშობილი საქმის ავტორიტეტით შემოსოს. გაუგებარია, თუ როგორ ისარგებლა გერმანიის პრესამ ასეთი მღვრია წყაროთი. ქართველ ხალხს არ დაუმსახურებია, რომ მას ამ რიგად მოეპყრან!»

## დეკლარაცია

## საქარ. პოლიტ. პარტიათა წარმომადგენლობისა უცხოეთში.

ბერლინიდან გადმოცემული ამბები შესახებ ყალბი ჩერვონცების მოჭრისა გაკვრით იხსენიებენ საქართველოს ეროვნულ მოძრაობას.

რათა საზოგადოებრივი აზრი გაფრთხილებულ იქნას მტრის ამ ვერაგულ თავდასხმის გამო საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობა თავის მოვალეობათ სთვლის გამოაცხადოს შემდეგი:

იმ საერთაშორისო ბოროტმოქმედების შემდეგ, რაიცა ჩაიდინა ბოლშევიკურმა რუსეთმა 1921 წელს საქართველოს რესპუბლიკის დამხობით,—კანონიერი მთავრობა საქართველოსი, გამოსული საყოველთაო არჩევნებიდან და აღჭურვილი სრული უფლებით დამფუძნებელი კრების მიერ, იძულებული გახდა დაეტოვებია სამშობლო მიწა და [illegible] საზღვარგარეთ. აი ამ დროს საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიებმა, რომელნიც წარმოდგენილნი იყვნენ დამფუძნებელ კრებაში და სდგანან დემოკრატიის ნიადაგზე, საჭიროთ დაინახეს შეედგინათ ამ მთავრობის ირგვლივ ერთი ეროვნული ცენტრი და მიეტანათ მისთვის ეროვნული სოლიდარობის ყოველი ზნეობრივი ძალა ერთი მიზნით: ბოლშევიკური რუსეთის მიერ ფეხით გათელილ უფლებათა დასაცველათ და საქართველოს სუვერენობის აღსადგენათ.

რასაკვირველია არიან პირნი და, შეიძლება, ჯგუფებიც ანტიდემოკრატიული მსოფლმხედველობისა, რომლებიც არ ემორჩილებიან აღნიშნულ ნაციონალურ ცენტრს და მუშაობენ ამ ცენტრისაგან სავსებით დამოუკიდებლივ. ხასიათი მათი მოქმედებისა და პირადი შემადგენლობა ცენტრისთვის სრულიად უცნობია. ამიტომ თავისთავათ ცხადია რომ საქართველოს ეროვნული ცენტრი უცხოეთში ვერავითარ შემთხვევაში ვერ იკისრებს რაიმე პასუხისმგებლობას ყველა ამ გამდგარ პირთა და ჯგუფთა მოქმედებისათვის.

კერძოთ არც ერთ იმ პირს, რომელნიც გაზეთებში დასახელებული იყვნენ ყალბი ჩერვონცების საქმეზე, არავითარი კავშირი არც პოლიტიკური და არც მორალური ჩვენ ცენტრთან არ აქვს.

საქ. პოლ. პარტ. წარმომ. უცხოეთში.

## კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის განცხადება.

უცხოეთის პრესაში გამოქვეყნდა შემდეგი განცხადება:

«საქართველოს პრესის ბიურო აღჭურვილია უფლებით განაცხადოს, რომ კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტს, ერთათ ერთ ორგანიზაციას, რომელიც შესდგება საქართველოს, აზერბეიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკის უფლებამოსილ წარმომადგენელთაგან, არასოდეს ჰქონია რაიმე დამოკიდებულება იმ პირებთან, რომელთაც ბრალდება ყალბი ჩერვონცების მოჭრა და რომელთა ვინაობა მოხსენებულია გერმანულ პრესაში.

«კომიტეტი ერთხელ კიდევ მთელი ქვეყნის წინაშე აცხადებს თავის მიზანს, რაიცა მდგომარეობს კავკასიის განთავისუფლებაში უცხოელთა მონობისაგან, რომელთაც წითელი ლაშქრით მოახდინეს კავკასიის რესპუბლიკათა ოკუპაცია, და ამ რესპუბლიკათა გაერთიანება კონფედერაციის ნიადაგზე.

«კომიტეტი პირველ ყოვლისა ემყარება საკუთარ ძალას თვით კავკასიის ერებისა, რომელთაც სწყურიათ განთავისუფლება, აგრეთვე ბოლშევიკურ რეჟიმის წინაალმდეგ მებრძოლ ყველა დამორჩილებულ ერთა შეთანხმებულ მოქმედებას, რომელთა მიზანია, ბოლშევიკურ დიქტატურის ნანგრევებზე შექმნან დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკები.

კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი [illegible] რომ დასახულ მიზნის მიღწევაში ყველა [illegible] ერის თანაგრძნობა მის მხარეზე იქნება».

## საქართველოს ერ.-დემ. პარტიის კომიტ. განცხადება.

ბერლინიდან მოსულ ამბებში, შესახებ ყალბი ჩერვონეცის მოჭრისა, ნახსენებია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტი.

ეს კომიტეტი მართლა არსებობს. იგი შეთანხმებულია საქართველოს ყველა სხვა პოლიტიკურ პარტიებთან, მათთან ერთად შეადგენს ერთ ეროვნულ ცენტრს და სცნობს მხოლოდ თავის კანონიერ მთავრობას. მისი მიზანია დაიცვას სამშობლოს წმინდა უფლებანი, რომელიც ბოლშევიკური ლაშქარის შემოსევამ საქართველოში ფეხით გათელა 1921 წელს.

ამ კომიტეტს არაფერი აქვს საერთო ყალბი ფულის მომჭრელ ბრბოსთან და ენერგიულ პროტესტს აცხადებს იმ ცდის წინაალმდეგ, რომლითაც უნდათ ამ სამარცხვინო დანაშაულში გახვიონ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელი.

რაც შეეხება იმ პირებს, ვინც სახელდებით ნახსენები არიან ბერლინიდან მოტანილ ამბებში, კომიტეტი აცხადებს, რომ იქ ნახსენები ვიღაც სადათიერაშვილი მისთვის სრულებით უცნობია.—ბ.ბ. შალვა ქარუმიძე და სპირიდონ კედია, ყოფილი წევრები პარტიისა, პარტიიდან უკვე გამორიცხულნი არიან სხვადასხვა მიზეზის გამო. აი თვით გადაწყვეტილებაც, მიღებული კომიტეტის მიერ 3 აპრილს 1927 წ. შესახებ ბ. ქარუმიძისა:

> «ვინაიდან ბ. ქარუმიძე, მისი ყოვლად მიუღებელ ზნეობრივად და პოლიტიკურად მოქმედების გამო, უკვე გამორიცხულ იყო კომიტეტიდან ჯერ კიდევ 2 მაისს 1924 წ. და ამავე დროს მკაცრად აღკრძალული ჰქონდა მას ყოველი მუშაობა პარტიის სახელით; ეხლა კი, რა რომ გამოირკვა, რომ ის ისევ განაგრძობს ამ მუშაობას პარტიის სახელით,—კომიტეტი აცხადებს, რომ ბ. ქარუმიძე საბოლოოდ გამორიცხულია პარტიიდან».

რაც შეეხება ბ. კედიას, რომელმაც შეწყვიტა კომიტეტთან ყოველი კავშირი ჯერ კიდევ 8 ნოემბერს 1925 წ. და რომლის მონაწილეობა ყალბი ფულების მოჭრაში ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, ის გაძევებული იქნა პარტიიდან შემდეგი მოტივით:

> «ვინაიდან ბ. კედიამ, 8 ნოემბრის 1925 წ. თავის წერილის შემდეგ შეწყვიტა ყოველი კავშირი კომიტეტთან, და ამ დღიდან პირდაპირ უარჰყოფს ერ.-დემოკ. პარტიის ძირითად პრინციპებს, მის ტაქტიკას, და განუწყვეტლივ ებრძვის კანონიერ მთავრობის ირგვლივ ყველა პარტიათა შეთანხმებით შემდგარ ეროვნული ფრონტის მთლიანობას,—კომიტეტი აცხადებს, რომ ბ. კედია გამორიცხულია ერ.-დემ. პარტიიდან».

ორივე გადაწყვეტილება თავის დროზე გამოქვეყნებული იქმნა ერ.-დემ. პარტიის გაზეთ «მამულიშვილში». რომელიც გამოდის პარიზში.

საქართ. ეროვ.-დემ. პარტიის კომიტეტი.

პარიზი 25 ნოემბერი 1927 წ.

*Rédaction et Administration.*
M. J. GOBETCHIA
7, rue de Ponthieu, 7. Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*
Le Gérant : LARGILIÈRE.